პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 44-ე წელი | № 173 (12685) | ხუთშაბათი, 25 ივლისი, 1963 წ. | ფასი 2 კაპ.

კომუნისტური შრომის სიმართლის ძალა

ამ დღეებში გაზეთებში გამოქვეყნდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1963 წლის პირველი ნახევრის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ.

და ბუნებრივია, რომ თვითეული ჭეშმარიტი საბჭოთა ადამიანი, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ყოველი კეთილსინდისიერი მოქალაქე დიდი ინტერესით და მღელვარებით მოელის ასეთ ცნობებს. ეს ნაკლებ საინტერესო და მნიშვნელოვანი რიდია, ვიდრე ომის დროს საფრონტო ცნობები იყო. ამ ცნობებიც შეჯამებულია დიდი ბრძოლების შედეგები, საბჭოთა ადამიანების მშვიდობიანი შრომის ფრონტებზე გმირული შეტევით მოპოვებული გამარჯვებების შედეგები. დიდი სამამულო ომის დროს ჩვენი ადამიანები ფრონტებზე მდგომარეობის შესახებ ცნობების მოხმენის შემდეგ რუკებზე პატარა წითელ დროშებს წინ გადაანაცვლებდნენ ხოლმე, რაც ახალი ქალაქების და სოფლების განთავისუფლების, საბჭოთა ჯარების წინსვლის მაუწყებელი იყო. სტატისტიკური სამმართველოს ცნობაში მოცემული ციფრები ხატოვნად მეტყველებენ, რომ ჩვენმა ხალხმა დაადანაკლა წინ კომუნიზმის მშენებლობის ახალ მიჯნაზე, გმირული შრომით აიღო შვიდწლედის კიდევ ერთი ზღუდე, წინ წაიღო შრომაში გამარჯვებათა ძლევამოსილი დროშები.

ამიტომ არის ოფიციალური ცნობის მშრალი ციფრები ასე მრავლისმთქმელი და შთამბეჭდავი. ჩვენს ადამიანებს კანონიერი სიამაყის გრძნობით ეუნებათ გული, რომ ჩვენი ქვეყნის მრეწველობამ საერთო პროდუქციის გამოშვების ნახევარი წლის გეგმა 103 პროცენტით შეასრულა. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით სამრეწველო წარმოების მოცულობა გაიზარდა 8,5 პროცენტით. განსკილ ოთხწელიწადნახევარში ამ პერიოდისათვის შვიდწლიანი გეგმის დავალებათა გადამეტებით წარმოებულია 33 მილიარდი მანეთის სამრეწველო პროდუქცია.

და განა შეიძლება პატიოსან კაცს გული სიხარულით არ გევსებოდეს, როცა ჩვენი შემართების, ჩვენი ზრდის, ჩვენი მძლავრი ნაბიჯების აღმნუსხველ ამ ციფრებს ეცნობი? ვიდრე კაბინეტებში, საანგარიშო მანქანებთან ეკონომისტები შეაჯამებდნენ ამ ციფრებს, ჩვენი ხალხის რა შრომითი მამაცობა უძღოდა ამას წინ, ყოველდღე, ყოველ საათს, ყოველ წუთს რა დიდ ენერგიას, მთელ თავის ცოდნასა და გამოცდილებას ახმარდნენ საბჭოთა ადამიანები თავიანთ უბნებზე სახელმწიფო გეგმების წარმატებით შესრულებას, რა შეუპოვრობითა და გულმოდგინე დაკვირვებით წყვეტდნენ ისინი ჩვენი პარტიის მიერ დასახულ დიდ ამოცანებს. სტატისტიკური სამმართველოს ორნიშნა და სამნიშნა პაწაწინა ციფრებში გადმოცემულია საბჭოთა სახელმწიფოს, საბჭოთა ხალხების, კომუნიზმის საქმის სიმართლის ძალა.

ახალი სიხარული მოუტანა ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობამ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1963 წლის პირველი ნახევრის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ, რომელიც გუშინ დაიბეჭდა პრესაში. ამ ცნობიდან ცხადი ხდება, რომ რესპუბლიკის მშრომელებმა, რომლებიც ახორციელებენ პარტიის XXII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებებს, ახალი წარმატებანი მოიპოვეს განვლილ ნახევარ წელიწადში ეკონომიკის განვითარებაში, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებასა და ცხოვრების კულტურულ დონის ამაღლებაში.

ჩვენი რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა მშრომელების თავდადებულ შრომაზე მეტყველებს, რომ საქართველოს სსრ მრეწველობამ, აგრეთვე მინისტრთა საბჭოსადმი დაქვემდებარებულმა მრეწველობამ 1963 წლის პირველი ნახევრის საერთო პროდუქციის წარმოების სახელმწიფო გეგმა 104 პროცენტით შეასრულა, სახალხო მეურნეობის საბჭოს მრეწველობამ — 105 პროცენტით.

ამ წარმატებას ხელი შეუწყო იმან, რომ ხორციელდებოდა ღონისძიებანი საწარმოო პროცესების კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციისათვის, მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვისათვის, მოქმედი მოწყობილობის მოდერნიზებისა და ახალი, მეტი წარმადობის მოწყობილობის დანერგვისათვის.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის უველა დარგში ტექნიკური პროგრესი ხორციელდება გამომგონებლებისა და რაციონალიზატორების აქტიური მონაწილეობით, რომლებმაც განვლილ ნახევარ წელიწადში შეიტანეს 9,4 ათასზე მეტი წინადადება წარმოების გაუმჯობესებისა და სრულყოფისათვის. ამავე ხნის განმავლობაში სახალხო მეურნეობაში დაინერგა 5,3 ათასზე მეტი გამოგონება და რაციონალიზატორული წინადადება, რაც წელიწადზე გადაანგარიშებით 6,5 მილიონ მანეთზე მეტ ეკონომიას იძლევა.

მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების, მოწინავე ტექნოლოგიის წარმოებაში დანერგვამ, ავტომატიზაციამ და მექანიზაციამ, რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის მოძრაობის ფართოდ განვითარებამ უზრუნველყო შრომის ნაყოფიერების ამაღლება. შრომის ნაყოფიერების ნახევარი წლის გეგმა რესპუბლიკისა და სახალხო მეურნეობის საბჭოს მრეწველობაში შესრულებულია 104 პროცენტით.

მიმდინარე წელს რესპუბლიკის მეტ წილ რაიონებში მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოები მიმდინარეობდა არახელსაყრელი ამინდის პირობებში. მაგრამ ჩვენმა კოლმეურნეგლეხობამ დაძლია დაბრკოლებანი. მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოვებული მეცხოველეობაში.

წარმოების განუხრელი ზრდის საფუძველზე წლიდან წლამდე, თვიდან თვემდე მაღლდება ჩვენი ადამიანების მატერიალური კეთილდღეობა და კულტურული დონე. საკმარისია აღინიშნოს, რომ სახელმწიფო გეგმით გამოყოფილი სახსრებით აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა 225 ათასი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები. მიღწეულია შემდგომი წარმატებანი სახალხო განათლების, მეცნიერებისა და კულტურის დარგში.

მოყვანილი ციფრებში მძლავრად ეღერს ახალი გამარჯვებისაკენ მთელი ჩვენი ქვეყნის ხალხებთან ერთად ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა მძლავრი და ფეხშეწყობილი სვლა. ეს ციფრები დამაჯერებლად მეტყველებენ, თუ რა შესანიშნავი შედეგები გამოიღო ჩვენი პარტიის და მთავრობის ზრუნვამ ხალხის ეკონომიკეთილდღეობისათვის.

სერიოზულ გამარჯვებებთან ერთად ნაკლოვანებებიც გვაქვს. პარტია, მთავრობა, საბჭოთა ხალხი არ მალავდნენ და არ მალავენ მათ. ნაკლოვანებებზე ლაპარაკია საკავშირო და ჩვენი რესპუბლიკის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოების ცნობებშიც. არ შეიძლება შეავურიგდეთ, მაგალითად, რომ მაშინ როცა მთლიანად ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საბჭოში საერთო პროდუქციის წარმოების გეგმა შესრულებულია, გეგმა ვერ შეასრულა 88 საწარმომ.

სერიოზული ნაკლოვანებებია კაპიტალურ მშენებლობაში. არ ამუშავებულა წლის პირველი ნახევრის გეგმით გათვალისწინებული ელექტროენერგია, საშენი მასალების, კვების პროდუქტებისა და სხვ. წარმოების მთელი რიგი სიმძლავრენი.

ჩვენ გვაქვს უველაფერი იმისათვის, რომ სწრაფად აღმოვფხვრათ ნაკლოვანებანი მშენებლობაში, მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, ვაჭრობასა და მოსახლეობის მომსახურებაში. მხოლოდ საჭიროა მოვაწყოთ გადამწყვეტი ბრძოლა ამ ნაკლოვანებათა დაძლევისათვის, სათავეში ჩავუდგეთ მასების მოძრაობას ახალ წარმატებათა მოპოვებისათვის, ყოველი ღონისძიებით ვავლინებდეთ და ვამოქმედებდეთ აურაცხელ რეზერვებს, მაქსიმალურად, მთელი დატვირთვით ვიყენებდეთ თვითეულ სამუშაო დღეს, თვითეულ საათს. მთავარია, რომ უფრო ფართოდ ვაჩაღებდეთ სოციალისტურ შეჯიბრებას და უზრუნველვყოფდეთ შეჯიბრებითი ნაკისრი ვალდებულებათა პირნათლად შესრულებას.

თავდადებული გმირული შრომით — კომუნიზმის ნათელი მწვერვალებისაკენ!

180.000 ტონა ჩაისათვის!

ივლისის გეგმა შესრულებულია!

ჩაქვისა და გალის რაიონების მეჩაიეთა წარმატება

ჩაქვის საწარმოო სამმართველოს მეჩაიეებმა წარმატებით აიღეს მორიგი ზღუდე — **24 ივლისის საღამოსათვის შეასრულეს ჩაის ფოთლის კრეფის ივლისის გეგმა,** მოკრიფეს 5.950 ტონამდე „მწვანე ოქრო“ ნაცვლად ივლისს გეგმით გათვალისწინებული 5.898 ტონისა. ჩაქველებმა სეზონის დაწყებიდან სულ მოკრიფეს 21.550 ტონაზე მეტი ჩაის ნედლეული და წლიური გეგმა 81 პროცენტზე მეტით აქვთ შესრულებული.

გალი. (სპეც. კორ.). გალის საწარმოო სამმართველოს მეჩაიეები თავდადებით შრომობენ იმისათვის, რომ წელს სამშობლოს მისცენ 15.000 ტონა ჩაის ფოთოლი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 14.110 ტონისა. **სახელოვანმა მეჩაიეებმა 24 ივლისის საღამოსათვის მოკრიფეს 10.460 ტონა „მწვანე ოქრო“, რაც 460 ტონით აღემატება გასული წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელს. ივლისში მოკრეფილია 3.705 ტონა ჩაის ნედლეული ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 3.104 ტონისა.**

ერაოვნული ბიბლიოთეკა

მახარაძის საწარმოო სამმართველოში შემავალი გურიანთის კოლმეურნეობის წევრი ნორა ცხომელიძე ჩაის ფოთლის კრეფის ყოველდღიურ ნორმას ორმაგად ასრულებს. სურათზე: ნორა ცხომელიძე ჩაის პლანტაციაში.

ფოტო ი. მღებრიშვილისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

მომკალი-ყანებში!

ჰექტარზე 35 ცენტნერი...

თეთრი წყარო. (ტელეფონით). საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანმა ამხ. ა. ბეჭაურმა რედაქციას აცნობა, რომ ამ დღეებში კარგი ამინდები დადგა პურეულის აღებისათვის. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მასობრივად გაჩაღდა პურის მკა.

გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში დიდ წარმატებას მიაღწია სოფელ კოდის კოლმეურნეობის კომბაინერმა ტ. დალაქიშვილმა. მან თავისი თვითმავალი კომბაინი შეუფერხებლად ამუშავა და **20 საათის განმავლობაში პურეული მომკა 30 ჰექტარზე.** სულ **გალეწა 1.050 ცენტნერი ხორბალი.** საშუალოდ **ჰექტარზე** მიღებულია **35 ცენტნერი ხორბალი.**

პავლე ოქრომჭედლიშვილი საჭეს მიუჯდა და ტრაქტორი დასძრა. ტრაქტორმა მიწა გადაუშავა.

გუგუნებენ ველის ხომალდები

დაღამდა. მკის პირველი სამი დღის შედეგების შეჯამებას შეუდგნენ.

— მომკილია 45 ჰექტარი. გალეწილია ცხრაასი ცენტნერი.

აგრეგატის მეთაურმა თანამებრძოლებს გადახედა, კარგიაო — ღიმილით აგრძნობინა, მაგრამ სიტყვით მაინც სხვა უთხრა:

—ხომ ხედავთ, რომ ზაფხული ჭირვეულობს. ყოველ მეორეს თუ არა, მესამე დღეს წვიმა მოდის, თუ ამინდს არ დაეშურეთ, მთელი წლის ნაჯაფარი დაგვიფუჭებს. ტემპი დაბალია. დღეში თხუთმეტი ჰექტარი დადად საამაყო როდია. მეტი შეგვიძლია. ბუნკერიდან ხორბლის გადმოტვირთვა აგრეგატს. გაუჩერებლად უნდა მოვახდინოთ.

მტრედიფრად რომ ინათა, კაკაბეთელმა მექანიზატორებმა აგრეგატს მიაშურეს. პავლე ჯიღაურს სოფელში ყველა აქვს. საბჭოთა არმიაში რომ წავიდა, კარგი მუშაობისათვის კეთილი ჯილდო — მაჯის საათი რკინიგზის სადგურში მიართვეს. სამშობლოს სადარაჯოდან დაბრუნებული კვლავ ტრაქტორის საჭეს მიუჯდა. მისი მიზეზით აგრეგატი ერთ წუთსაც არ სცდება. სწავლა დაამთავრა თუ არა, მერვეკლასელმა ჯემალ სამონიშვილმა მინდორს მიაშურა. იგი აგრეგატზე ნამჯის შემგროვებლის მუშაობას აწესრიგებს. შტურვალის მართვაც კარგად იცის. ზოგჯერ ტრაქტორის საჭეს „მიეპარება“ ხოლმე.

პავლე ოქრომჭედლიშვილის აგრეგატიდან ოქროსფერი ხორბლით დატვირთული ავტომანქანები ცენტრალურ კალოზე მიემართება. ხვავი და ბარაქა მრავლდება. ყოველ ჰექტარზე ოცი ცენტნერი ხორბალი მოდის. შარშანდელს თერთმეტი ცენტნერით აჭარბებს.

„ხოდაბუნებში“ ალექსანდრე გულალაშვილის კომბაინის აგრეგატი გუგუნებს. ტრაქტორს მერაბ თეირაძე მართავს. აგრეგატის მეთაურს შტურვალი თავისი შვილის ჯემალ გულალაშვილისათვის ჩაუბარებია. იგი სწავლაშიც მაცოცხლებს. ცხრაასი ცენტნერი ქერი გადმოტვირთეს ბუნკერიდან. ახლა ხორბალს მკიან. 300-350 ცენტნერი, ნაკლები არცერთ დღეს არ გაუგზავნიათ კალოზე.

ივანე ჭიკაძე, ვლადიმერ ხარებაშვილი, ნიკოლოზ ნანუაშვილი, გურამ ამბარდანიშვილი — ეხენიც „ველის ხომალდებს“ მეთაურობენ. ყველა გადამეტებით ასრულებს მკის დღიურ დავალებას.

შუადღე გადასული იყო, როცა არაშენდის კოლმეურნეობის მინდვრებში მივედით. კოლმეურნეობის თავმჯდომარე შალვა უამბარაშვილი მკის ხარისხს ამოწმებდა.

— როგორ მიდის თქვენთან მოსავლის აღება? — ვკითხეთ მას და ჭალდი მოვიმარჯვეთ.

სოფლის მესვეურმა ველ-მინდვრებს თვალი მოავლო და თქვა:

— მოსავალი ის არის, რაც ბეღელშია. მთელ ძალ-ღონეს ვძაბავთ, რომ ქერი თუ ხორბალი მოკლე ვადაში ავიღოთ. მექანიზატორები მკის დღიურ დავალებას 120-130 პროცენტით ანადღებენ.

კომბაინის აგრეგატი, რომელსაც ვასილ ბაწილაშვილი მეთაურობს, დღეში 15-20 ჰექტარს მკის. ბუნკერიდან 250-300 ცენტნერ ხორბალს ტვირთავს. ამ წარმატებაში ტრაქტორისტ ჯემალ თვალმიხლაშვილს და შტურვალისტ გიო მედულაშვილს სათანადო ღვაწლი მიუძღვით.

მოსავლის აღების მთავარ შტაბში — გურჯაანის საწარმოო სამმართველოში მომკილი ჰექტარების რაოდენობა ყოველდღიურად მატულობს. ათიოდე დღეც, და ველ-მინდვრებში „მინდვრის ხომალდების“ გუგუნი შეწყდება. შვიდწლედის მეხუთე წლის პურეულის მოსავალი შეჯამდება, იგი უველას გაახარებს.

ს. ძოწილაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ქუთაისის მარკით

ბზე. მიმდინარე წელს ქუთაისური მანქანები და მოწყობილობა გაიგზავნება აგრეთვე მალისა და კამბოჯის ახალგაზრდა რესპუბლიკებში.

ქუთაისი. (საკ. კორ.): ბევრი პროდუქცია, რასაც ქალაქის სამრეწველო საწარმოები უშვებენ, ცნობილია ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც.

ელექტრომექანიკურ ქარხანაში დამზადებული საშახტო ელმავლები და მძლავრი არტეზიული წყალსატუმბავები გაიგზავნა ბულგარეთის, რუმინეთის, მონღოლეთის, ვიეტნამის სახალხო რესპუბლიკებში, აგრეთვე ინდოეთსა, ირანსა და ავღანეთში.

ამ დღეებში არტეზიული ტუმბოების დიდი პარტია გაიგზავნა არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში, ასუანის კაშხალის მშენებლობაზე.

ახლა ქარხნის კოლექტივი მუშაობს კუბის რესპუბლიკის დაკვეთაზე.

რაციონალიზატორთა კარგი წვლილი

ბათუმი. (საკ. კორ.). ქარხანა „ელექტროკარის“ კოლექტივმა წელს უნდა გამოუშვას 2.400 ცალი ელექტროკარი. ეს 400 ცალით აღემატება შარშანდელ გეგმას. წლის პირველ ნახევარში გეგმის ზევით გამოშვებულია 44 ელექტროკარი.

ქარხნის ამ საერთო წარმატებაში დიდი წვლილი შეაქვთ წარმოების რაციონალიზატორებსა და გამომგონებლებს. ამ ცოტა ხნის წინათ ახალგაზრდა ინჟინრის ო. ქადეიშვილის, ქარხნის ყოფილი დირექტორის ს. ლომთაძის რაციონალიზატორული წინადადებების დანერგვით წარმოება წლიურად 3 ათას მანეთ პირობით ეკონომიას მიიღებს.

მევაგონეთა წარმატება

ხაშური. (საკ. კორ.). სავაგონო დეპოს მოწინავე ადამიანები ზეინკლები ვ. ხაჩიძე, ვ. კავთელაშვილი, ხარატი ლ. ქიტიაშვილი, დურგლები რ. ქარხუნიშვილი, ა. ჭურდაძე, მჭედელი კ. იკაშვილი და სხვები რკინიგზელის დღის აღსანიშნავ შრომის ვახტზე დგანან და დღიურ დავალებებს ორმაგად ასრულებენ.

დეპოს კოლექტივმა, რომელმაც ნახევარი წლის გეგმის გადამეტებით 35 ვაგონი გამოუშვა შეკეთებიდან, ივლისის თხუთმეტ დღეში დავალების გადაჭარბებით შეაკეთა 10 ვაგონი.

შვიდწლედის ქრონიკები

უპასტაკებენ სამშობლოს

ხაშურის საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ვადაზე ადრე, 24 ივლისისათვის გადაბარბეთით შეასრულეს სახელმწიფოსათვის თავთავიანი კულტურების მარცვლეულის მიყიდვის 1963 წლის დავალება. სახელმწიფოს მიეყიდა 1.065 ტონა მარცვალი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.045 ტონისა. სახელმწიფოსათვის მარცვლის მიყიდვა გრძელდება.

მკა გაჩაღდა

ოქრუს ტალღებად ირწევიან ყანები. მარცვლით დამძიმებული თავთავები სამკელად შემოსულან. იჩქარიან გორის საწარმოო სამმართველოში შემავალი კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები. ისინი ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ დროულად, უდანაკარგოდ აიღონ და დაბინაონ პურეული მოსავალი. ვარიანის საბჭოთა მეურნეობის (დირექტორი ო. ლაბაძე) მუშებმა წელს კარგად იმუშავეს და შედეგიც საამაყოა. შარშანდელთან შედარებით სიშეალოდ ჰექტარზე 10 ცენტნერით მეტი ქერის მოსავალია. კომბაინერები რ. სირანაშვილი და მ. როსტომაშვილი პურეულის აღების საქმეში წარმატებათა მოპოვებისათვის ერომანეთს ეცილებიან. დღეში 20 ჰექტარი ნაცვლად 10 ჰექტარისა! — ასეთია კომბაინერების როსტომაშვილისა და სირანაშვილის ყოველდღიური მაჩვენებელი.

ყანაში დილაადრიანად ნახავთ კომბაინერებს კ. პაპუკიშვილს და ტ. ჭეჭელაშვილს. ისინი კარაელთის საბჭოთა მეურნეობაში (დირექტორი გ. ჯაშაშვილი) შეუფერხებლად ამუშავებენ „ველის ხომალდებს“.

მოსავლის აღებასთან ერთად ჩქარი ტემპით მიმდინარეობს მარცვლის გალეწვა, გაშრობა და სახელმწიფოსათვის მიყიდვა. საწარმოო სამმართველოში შემავალ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს სახელმწიფოსათვის მარტო ქერი უნდა მიეყიდათ 825 ტონა. ეს დავალება უკვე შეასრულეს.

ქართული ხელოვნების დღესასწაული

ბაკო, 24 ივლისი. (საქდესის კორ.). მომმე ქართველი ხალხის ხელოვნების დღესასწაულია ახლა აზერბაიჯანის დედაქალაქში. დღესასწაულის გახსნის პატივი ხვდა წილად თბილისის ზ. ფალაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის კოლექტივს, რომლის გასტროლებიც დიდი წარმატებით მიმდინარეობს ბაქოში. ქართველმა მსახიობებმა ბაქოელებს უჩვენეს მდიდარი საგასტროლო რეპერტუარის თითქმის ყველა დადგმა. გულთბილ ვითარებაში მიმდინარეობდა სტუმრების შეხვედრები ბაქოს უძველესი ნავთობის რაიონის მუშებთან, რომელიც სერგო ორჯონიკიძის სახელს ატარებს, კომუნისტური შრომის საწარმოს კოლექტივთან — კრასინის სახელობის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის მუშებთან.

ბაქოელთა დიდი ინტერესი გამოიწვია ქართული კინოსურათების ფესტივალმა, რომელიც ქალაქის უდიდეს კინოთეატრში დაიწყო. ქართული კინოს ოსტატებმა აზერბაიჯანელი მაყურებლის სამსჯავროზე გამოიტანეს თავიანთი სამი ნამუშევარი — მხატვრული ფილმები „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, „უდიერლომო სასიძო“ და „თოჯინები ინინარ“.

მაყურებლები განსაკუთრებით გულთბილად ხვდებიან თბილისის რკინიგზელთა კულტურის სახლის ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლის თითოეულ კონცერტს. ეს ანსამბლი გამოვიდა ხაჩმასის მშრომელებისა და ბაქოელი მელოდიადგეების წინაშე.

დღესასწაული გრძელდება.

ლენინის მონუმენტის პროექტს ქმნის ავტორთა კოლექტივი

მოსკოვი, 23 ივლისი. (საკდესის კორ.). რამდენიმე წელიწადია, რაც საბჭოთა მოქანდაკეები და არქიტექტორები მუშაობენ ვ. ი. ლენინის ძეგლის პროექტების შესაქმნელად, რომელსაც მოსკოვში, ლენინის გორაზე დადგამენ. ხუროთმოძღვრები და საჭრისის ოსტატები ცდილობენ თავიანთ ნაწარმოებებში მართლად წარმოსახონ რევოლუციის გენიალური ბელადი, გვიჩვენონ მისი ყველაზე დამახასიათებელი თვისებები — ადამიანურობა, ვაჟკაცობა, შეუდრეკელი ნებისყოფა.

სრულიად საკავშირო ღია, აგრეთვე დახურული კონკურსის მონაწილეთა ბევრი ნამუშევარი დემონსტრირებული იყო დედაქალაქში გამართულ გამოფენებზე, იხილავდნენ საზოგადოებრიობის დისკუსიებსა და კრებებზე.

ამა წლის მაისში ვ. ი. ლენინის ძეგლის პროექტთა გამოფენა, რომელიც მოთავსებული იყო სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის „მშენებლობის“ განყოფილებაში ფრუნზეს სანაპიროზე, ინახულეს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელებმა. აქ წარმოდგენილი იყო მოსკოვის მოქანდაკეთა და არქიტექტორთა კოლექტივების მიერ შესრულებული ოთხი პროექტის ესკიზი, ნახატები და მაკეტები.

ეს ნაწარმოებები რომ დაათვალიერა, ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა აღნიშნა მათი დადებითი მხარეები და ამავე დროს თქვა, რომ ჯერ კიდევ საჭიროა უდიდესი მუშაობა, რათა ქანდაკებაში აღიბეჭდოს ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დიადი სახე. ნიკიტა სერგეს-ძემ ნამუშევართა ავტორებს ჰკითხა, ხომ არ აჯობებდა გაერთიანებულიყვნენ ამ დიდი მიზნის მისაღწევად. მოქანდაკეები და არქიტექტორები დიდი მოწონებით შეხვდნენ ნ. ს. ხრუშჩოვის წინადადებას.

სსრ კავშირის კულტურის სამინისტრომ გაითვალისწინა მოქანდაკეთა და ხუროთმოძღვართა ერთსულოვანი სურვილი და ვ. ი. ლენინის ძეგლის პროექტის შემდგომი შემუშავებისათვის შექმნა ავტორთა ჯგუფი. ჯგუფში შეივიდნენ ცნობილი მოსკოველი მოქანდაკეები ნ. ფ. ბაბურინი, ლ. ნ. გოლოვნიცკი, ა. ა. კიბალნიკოვი, ნ. ვ. ტომსკი და არქიტექტორები ი. ბ. ბელოპოლსკი, ვ. ლ. ვოსკრესენსკი, ვ. ვ. ლებედევი. ავტორთა კოლექტივი უკვე შეუდგა მუშაობას.

სტუმრად კუბაში

მოსკოვი, 24 ივლისი. (საკდესი). 24 ივლისს კუბის მსოფლიოს ხალხთა მეგობრობის ინსტიტუტის მიწვევით ჰავანაში გაფრინდა საბჭოთა საზოგადოებრიობის დელეგაცია, რომელიც მონაწილეობას მიიღებს ზეიმში 26 ივლისის დღის — ბატისტას დიქტატურის წინააღმდეგ ხალხის შეიარაღებული ბრძოლის დაწყების თარიღის 10 წლისთავთან დაკავშირებით. დელეგაციას მეთაურობს სახელგანქმული საბჭოთა პარტიზანი, უკრაინის სსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრი, ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი ა. ფ. ფედოროვი.

იდეურად გამოვაწრთოთ ახალგაზრდობა

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

24 ივლისს ხელოვნების მუშაკთა სახლში გაიმართა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

მოხსენება — „სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის შედეგები და რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციების ამოცანები“ გააკეთა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ო. ჩერქეზიამ.**

მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობდნენ — საქართველოს ალკკ თბილისის კომიტეტის პირველი მდივანი **ს. ბაბეიშვილი,** საქართველოს ალკკ ბჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი **მ. ჭაჯაია,** რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მეფოლადე, კომუნისტური შრომის დამკვრელი **ს. საუვარელიძე,** გალის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს სოფელ წულუკიძის წულუკიძის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიე **დ. წივწივაძე,** სპორტის ოსტატი **ი. ერმოლოვა,** ქალაქ თბილისის სამგზავრო ტრანსპორტის სამმართველოს უფროსი **მ. ჩიკვაიძე.**

პლენუმზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **დ. სტურუამ.**

განხილული საკითხის გამო პლენუმმა მიიღო რეზოლუცია.

(საქდესი).

„ჩვენ მხოლოდ ერთი გზა გვაქვს — მშვიდობის გზა“

ნიუ-იორკი, 24 ივლისი. საკდესის კორესპონდენტი **ს. ლური** იტყობინება:

ქალთა მოსკოვის მსოფლიო კონგრესის ამერიკელი მონაწილენი სამშობლოში ბრუნდებიან. თქვენი კორესპონდენტი ტელეფონით დაუკავშირდა ზოგიერთ მათგანს და სთხოვა გაეზიარებინა შთაბეჭდილებანი საბჭოთა კავშირში ყოფნისა და მსოფლიო ქალთა კონგრესის შესახებ.

„კონგრესი მეტად სასარგებლო იყო, რადგან დაგვეხმარა გავრკვეულიყავით სხვა ხალხების პრობლემებში“, — განაცხადა მარგარეტ რასელმა (ოლუმბიის ფედერალური ოლქი). „კონგრესის დარბაზში, — განაგრძო მან, — არავინ დარჩენილა ისეთი, რომ გული არ აჩუყებოდეს და არ ატირებულიყოს, როცა სახელოვანი ერაყელი და ვიეტნამელი ქალები აღწერდნენ იმ ტანჯვა-წამებას, რასაც ასე მამაცურად და მტკიცედ იტანენ, რათა უზრუნველყონ თავიანთი შვილებისათვის უკეთესი ცხოვრება და მშვიდობა“.

„ჩვენზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა იმ გულითადმა, დიდებულმა სტუმართმოყვარეობამ, რომელიც რუსებმა გაგვიწიეს ჩვენ, ამერიკის შეერთებული შტატების ქალებს“, თქვა უესტპორტელმა (კონექტიკუტის შტატი) ბეატრისა მილვემ.

ლოსანჯელოსელი ქალი აუერბახის აზრით, ქალთა მსოფლიო კონგრესის მნიშვნელობა ის არის, რომ მოსკოვში „შეიკრიბნენ“ მთელი მსოფლიოს ქალები, რათა ერთად განეხილათ საერთო პრობლემები“.



გრძელდება აზრთა გაზიარება

სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელთა ზორის

23 ივლისს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოს, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოადგილის ა. ჰარიმანის, დიდი ბრიტანეთის მეცნიერებისა და ტექნიკის საკითხთა მინისტრის ლორდ ჰეილშემისა და მათი მრჩევლების მორიგ შეხვედრაზე მიღწეულია შემდგომი პროგრესი იმ მხრივ, რომ მოამზადონ შეთანხმება ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ ატმოსფეროში, კოსმოსურ სივრცეში და წყალქვეშ.

გრძელდებოდა აგრეთვე აზრთა გაზიარება ურთიერთ საინტერესო სხვა საკითხებზე.

სასიამოვნო შედეგი!

ვენეცია, 24 ივლისი. (საკდესი). ერთი პირველი. ერთი მეორე და ერთი მესამე პრემია მოიოცვეს საბჭოთა კინოფილმებმა, ახლახან დამთავრებულ ბავშვთა ფილმების ვენეციის XV საერთაშორისო ფესტივალზე. პრემიები მიიღეს ფილმებმა: „უსინათლო ფრინველი“ (პირველი პრემია), „ორი სამყაროს მიჯნაზე“ (მეორე პრემია) და „ბარანკინ, იყავ ადამიანი!“ (მესამე პრემია).

ფესტივალის ჟიური სსრ კავშირის სახალხო არტისტის ს. ობრაზცოვის თავმჯდომარეობით გაეცნო 53 კინოფილმს, რომლებიც კონკურსზე წარმოადგინა 16 ქვეყანამ, და ყველა თავისი გადაწყვეტილება ერთხმად მიიღო.

ფესტივალის აბსოლუტური პრიზიორი გახდა პოლონეთი, რომელმაც მოიპოვა დიდი პრიზი ყოველმხრივ საუკეთესო ფილმისათვის. ფესტივალის მთავარი ჯილდო წილად ხვდა ფილმს „რომანტიული დაბრუნება“.

იტალიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

რომი, 24 ივლისი. (საკდესი). **დღეს რომში გაიხსნა იტალიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმი. პლენუმის დღის წესრიგშია ორი საკითხი: 1. ბრძოლა თანამედროვე ეტაპზე მარცხნივ მობრუნებისათვის იტალიის პოლიტიკურ ვითარებაში და 2. საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის პრობლემები.**

პლენუმი სამ დღეს გაგრძელდება.

ალჟირ-იუგოსლავიის თანამშრომლობა

ალჟირი, 24 ივლისი. (საკდესი). გუშინ აქ დამთავრდა ალჟირ-იუგოსლავიის ეკონომიური მოლაპარაკება, რომლის შედეგადაც ხელი მოაწერეს სამ შეთანხმებას — სავაჭრო, საგადამხდელო და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის შეთანხმებებს.

აქ ავრეთვე გამოაცხადეს, რომ იუგოსლ

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

ᲯᲐᲜᲡᲐᲚᲘ ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲜᲘᲨᲜᲘᲗ

ᲒᲣᲗᲐᲡᲐᲛᲔᲓᲘ კომუნისტი შეიკრიბა წყალტუბოს საწარმოო სამმართველოს პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრებაზე, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისისა და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმების შედეგებსა და სამმართველოს პარტიული ორგანიზაციებს ამოცანებს მიეძღვნა.

მომხსენებელმა — საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანმა **ო. აბესაძემ** და კამათის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ სოფლის მშრომელები ერთსულოვანი მოწონებით შეხვდნენ პლენუმის გადაწყვეტილებებს.

კრების მონაწილეები ლაპარაკობდნენ იმ შესანიშნავ გამარჯვებებზე, რომლებიც ჩვენმა ხალხმა მოიპოვა ამ უკანასკნელ წლებში. ეს ნათლად ჩანს თუნდაც წყალტუბოს საწარმოო სამმართველოს მაგალითზე. სამმართველოს კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობა განუხრელად ზრდიან სასოფლო-სამეურნეო წარმოებას. გადაჭარბებით შესრულდა საგაზაფხულო თესვის დაგალება, სახელმწიფოსთვის მეცხოველეობის პროდუქტების, აბრეშუმის პარკის, დაფნის ფოთლის მიყიდვის გეგმები. სამმართველოს მეჩაიეებმა ჯერ კიდევ 12 იანვრისათვის შესასრულს ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფის ოთხი თვის დავალება. ახლა ისინი იმისათვის იბრძვიან, რომ წლიური გეგმა 1 აგვისტოსათვის შეასრულონ და წინათ ნაკისრი 1.300 ტონის ნაცვლად 1.500 ტონა ზეგეგმთი ჩაის ნედლეული მისცენ სამშობლოს.

ეს წარმატებები, როგორც აქტივის კრებაზე აღინიშნა, მოპოვებულია ადამიანებთან, კადრებთან ცოცხალი პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობით. მნიშვნელოვნად გაძლიერდა კომუნისტებისა და უპარტიო აქტივისტების ინტერესი მარქსისტულ-ლენინური თეორიის, კონკრეტული ეკონომიკის შესწავლისადმი.

— ჩვენთან, — თქვა სოფელ ოფშკვითის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ **გრ. სიმსივემ**, — მეცხოველეობის ფერმის ყველა მუშაკი სწავლობდა სოფლის მეურნეობის კონკრეტული ეკონომიკის შემსწავლელ წრეში. ეკონომიკის შესწავლამ კეთილნაყოფიერი გავლენა მოახდინა სამეურნეო საქმიანობაზე. გადიდდა ადამიანთა პასუხისმგებლობა, გაიზარდა მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება. მიმდინარე წლის პირველ ნახევარში, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, საშუალოდ ერთ საფურაქე ძროხაზე მივიღეთ 175 კილოგრამით მეტი რძე, ხოლო რძეს საერთო წარმოება 270 ცენტნერით გავადიდეთ. ამავე დროს ცენტნერი რძის წარმოებაზე დანახარჯები შემცირდა 41 პროცენტით, ხოლო ხორცის წარმოებაზე — 22 პროცენტით.

პროპაგანდისტული მუშაობის საინტერესო გამოცდილება გაუზიარა კრების მონაწილეებს ზაარათის სასოფლო ბიბლიოთეკის გამგემ, მიმდინარე პოლიტიკის შემსწავლელი წრის პროპაგანდისტმა **ვ. ჩხარტიშვილმა.** იგი თავიდანვე დაინტერესდა წრის თვითეული წევრის მუშაობით, დაეხმარა მათ კარგად შეეგნოთ თავიანთი მოვალეობა კოლმეურნეობისა და სახელმწიფოს წინაშე. პროპაგანდისტმა მოსავლელად მიიმგზავნა ჩაის პლანტაცია და ყოველგვარ ამინდში კრეფის პირად მაგალითს უჩვენებდა. როგორც ბიბლიოთეკის გამგემ, პლანტაციებში მოაწყო მოძრავი ბიბლიოთეკა. მისი ინიციატივით გამოვიდა საველე ფურცლები, გაჩაღდა ‘წრის მსმენელ მეჩაიეთა და მეცხოველეთა სოციალისტური შეჯიბრება.

კრებაზე მოყვანილ იქნა იდეოლოგიური და ორგანიზატორული მუშაობის სწორად შეხამებისა და მისი კეთილსაყოფილი შედეგების სხვა ფაქტებიც.

მაგრამ, როგორც ხაზგასმით ითქვა, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პარტიული ორგანიზაციების იდეოლოგიურ საქმიანობაში ჯერ კიდევ ბევრი ხარვეზია.

სოფელ მეძვეწის ა. წერეთლის სახელობის კოლმეურნეობაში კომუნისტებისა და უპარტიო აქტივისტების სწავლება, კოლმეურნეებთან პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა თვითდინებაზეა მიდნდობილი. პარტიულ ორგანიზაციას როდი აღელვებს ის, რომ ათობით კოლმეურნე არ ასრულებს შრომადღეების საკალდებულო მინიმუმს, ხოლო **49 კაცს მიმდინარე წელს სრულებით არ მიუღია მონაწილეობა საკოლმეურნეო შრომაში.** ამ კოლმეურნეობაში ცხრა ბრიგადაა, მაგრამ შვიდი ბრიგადირის ოჯახის წევრები **საკოლმეურნეო შრომაში არ მონაწილეობენ.** ყოველივე ამის გამო აქ საზოგადოებრივი მეურნეობის ყველა დარგი ჩამორჩა. გასულ ექვს თვეში თითო ძროხაზე შარშანდელ ამავე პერიოდთან შედარებით 140 კილოგრამით ნაკლები რძე მიიღეს და კოლმეურნეობა რძისა და ხორცის წარმოების მხრივ უკანასკნელ ადგილზე გამოვიდა საწარმოო სამმართველოში.

აქტივის კრებაზე ისიც აღინიშნა, რომ ჯერ კიდევ აღკვეთილი არ არის საზოგადოებრივი მეურნეობისადმი უყაირათო დამოკიდებულების, უქნარობის. სპეკულიანი, რელიგიური დღესასწაულების აღნიშვნის, ლოთობისა და ღრეობის მავნე ფაქტები. სოფელ ოფშკვითში უქნარების ჯგუფმა, რომელშიც, სამწუხაროდ, ამ სოფლის ხელმძღვანელთა შვილებიც მონაწილეობენ, ბოლო შემთხვევაში ბოლოს და ბოლოს ალიკერძოდ ბანდიტურ ხასიათს ატარებს. ეს ჯგუფი ბოლო ორი თვის განმავლობაში ბევრ ადამიანს ავნებს, ბევრ ადამიანს ავიწროებს, ბევრ ადამიანს ეუბნებოდა, ეს ეს ‘ბოლოა, ეს ‘ბოლოა, ეს ‘ბოლოა,

ᲩᲔᲙᲕᲘᲡ ᲤᲐᲠᲛᲬᲐᲪᲘ ᲔᲜᲘᲗ

მხურვალე მხარდაჭერა

ნიკოზია, 23 ივლისი. (საკდესი). 21 ივლისს კვიპროსის მშრომელი ხალხის პროგრესული პარტიის მე-18 საოლქო კონფერენციაზე ქალაქ ლიმასოლში გამოვიდა პარტიის გენერალური მდივნის მოადგილე ანდრიას ფანტიანი და შეეხო ჩინეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობის უთანხმოებებს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასთან და სხვა მარქსისტულ-ლენინურ პარტიებთან ომისა და მშვიდობის ძირეულ საკითხზე. კვიპროსის მშრომელი ხალხის პროგრესული პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით ანდრიას ფანტიამ განაცხადა: „კვიპროსის მშრომელი ხალხის პროგრესული პარტია მტკიცედ და ურყევად ადგას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პოზიციებს და სავსებით მხარს უჭერს ამ პოზიციებს.

ამასთანავე კვიპროსის მშრომელი ხალხის პროგრესული პარტია გადაჭრით გმობს ჩინეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელთა შეხედულებებს, რომლებიც შეუთავსებელია მარქსიზმ-ლენინიზმის სულისკვეთებასთან და უდიდეს ზიანს აყენებს საერთაშორისო რევოლუციური მოძრაობის შეკავშირებასა და ერთობას, სოციალიზმის, კომუნიზმისა და მშვიდობის საქმეს მთელ მსოფლიოში“.

სანტიაგო, 23 ივლისი. (საკდესი). ჩილის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურმა კომისიამ გამოაქვეყნა განცხადება საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის მდგომარეობის შესახებ, რომელიც შეიქმნა „ჩინელი ამხანაგების დოგმატურ და სექტანტურ პოზიციებთან დაკავშირებით“.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წერილი და ჩინელ ამხანაგთა უკანასკნელი დროის პრაქტიკული მოქმედება იწვევს წინააღმდეგობათა გამწვავებას საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობაში. ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წერილი შეიცავს „ნამდვილ მოწოდებას ყველა კომუნისტური პარტიის გათიშვისათვის, რომლებიც არ ცნობენ ჩინელთა გადახრას“, — ნათქვამია განცხადებაში. „იმპერიალიზმის მთელი პროპაგანდისტული მანქანა ცდილობს ისარგებლოს მდგომარეობით, რომელიც ჩინელმა ამხანაგებმა შექმნეს“.

განცხადებაში მკვეთრად არის გაკრიტიკებული ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოზიცია მშვიდობიანი თანაარსებობის საკითხში და აღნიშნულია, რომ ეს პოზიცია აღმაშფოთებლად ეწინააღმდეგება საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის საპროგრამო დოკუმენტებისა და პრინციპების ფორმასა და შინაარსს.

პოლიტიკური კომისია „ცილისმწამებლურს“ უწოდებს ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დაფორმულებას იმის შესახებ, თითქოს ბრძოლა მშვიდობიანი თანაარსებობისათვის, მშვიდობისათვის აფერხებდეს ხალხთა მასების რევოლუციურ ბრძოლას იმპერიალიზმის წინააღმდეგ, თავიანთი უფლებებისა და ეროვნული განთავისუფლებისათვის.

ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ

ბერლინი, 23 ივლისი. (საკდესი). კოლუმბიის პარლამენტის დელეგაციამ დაამთავრა ათი დღის ვიზიტი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში და ოდეს ბერლინიდან გაემგზავრა. გამგზავრების წინ დელეგაციის მეთაურმა, კოლუმბიის ეროვნული კონგრესის დეპუტატთა პალატის თავმჯდომარემ ლოპესმა მადლობა გადაუხადა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასა და მოსახლეობას გულითადი მიღებისათვის, რომელიც დელეგაციას გაუწიეს. ჩვენ აქ ვტოვებთ ნამდვილ მეგობრებს, თქვა ლოპესმა. დელეგაციის წევრები თვალნათლივ დარწმუნდნენ, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოსახლეობა თავდადებით და აღფრთოვანებით ეწევა მშვიდობიან შემოქმედებით შრომას. „ჩვენ საკუთარი თვალით ვნახეთ, — ხაზი გაუსვა ა. ლოპესმა, — რომ გერმანიის ეკონომიური სასწაული. რომელზეც ამდენს ლაპარაკობენ ლათინურ ამერიკაში, განხორციელებულია აქ, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში“.

ᲐᲚᲗᲐ-ᲑᲐᲚᲗᲐ

ასე ეწოდება მხატვარ კამინგსის ამ კარიკატურას, რომელიც გამოქვეყნებულია ინგლისურ გაზეთ „დეილი ექსპრესში“. იგი გვახსენებს ყოფილი სამხედრო მინისტრის პრეზიდიუმის სკანდალური ისტორიას. ჩამოცავნულ ქვებზე მისი გვარის ასოებია. სხვათა შორის, პრემიერ-მინისტრი მაკმილანიც საკმაოდ მაგრად ვერა ზის თავის ადგილზე.

როგორც ცნობილია, სახუმარო ლექსი ასე გადმოგვცემს ალთა-ბალთას სამწუხარო ამბავს:

იყო ვინმე ალთა-ბალთა,
ჯდა კედელზე ვითომ მართლად!
სიზმრად ნახა — როგორ მარდად
ძილში დაბლა ჩამოვარდა.
დატრიალდნენ მთელი ეზნებით
მეფის ქვეით-ცხენოსნები,
აქეთ ეცნენ, იქით ეცნენ,
სადარდელს და ფიქრს მიეცნენ,
ამხნევებდნენ ერთურთს ქებით,
აეკრიფათ კაცად ქვები.
თავს დაესხა ყველას რეტი,
რა ქნეს — წყალის ნაყვის მეტი!
რაც ეწია ალთა-ბალთას,
ის მოუვა სხვასაც მართლა.



ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢ ᲜᲐᲡᲔᲠᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ

კაირო, 23 ივლისი. (საკდესი). გუშინ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა გამალ აბდელ ნასერმა ვრცელი სიტყვა წარმოთქვა კაიროში 100 ათასიან მიტინგზე, რომელიც ეგვიპტის 1952 წლის რევოლუციის II წლისთავს მიეძღვნა. ეს სიტყვა, რომელიც დაახლოებით სამ საათს გაგრძელდა, ძირითადად მიეძღვნა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის დამოკიდებულებას ბაასის პარტიის ხელმძღვანელობასთან და იმ პრობლემებს, რომლებიც დაკავშირებულია სამი არაბული სახელმწიფოს — ეგვიპტის, სირიისა და ერაყის ფედერაციის შექმნასთან. ნასერმა განაცხადა, რომ იგი „მიმართავს მთელ არაბ ერს, ვინაიდან სერიეს ახლანდელი კრიზისი არანაკლებ სერიოზული ხასიათისაა, ვიდრე გათშვის ტრაგედია“ 1961 წლის შემოდგომაზე. მან თქვა, რომ ეგვიპტისა და სირიის კავშირის გამოცხადების პირველი დღიდანვე ბაასის პარტიის ლიდერები ესწრაფოდნენ გათიშვის და ცდილობდნენ ძალაუფლების ხელში ჩაგდებას.

ნასერმა ილაპარაკა გათიშვის ისტორიაზე, ხოლო შემდეგ გადავიდა მიმდინარე წლის ამბებზე, სირიაში 8 მარტს სახელმწიფო გადატრიალებასა და სამხრეთ მოლაპარაკებაზე, რომელიც ეგვიპტის, სირიისა და ერაყის წარმომადგენელთა შორის წარმოება.

არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკას, თქვა ნასერმა, თავის თავი აღარ მიაჩნია დამასკოს ახლანდელი რეჟიმის მოკავშირედ რაიმე საერთო მიზნებში. ჩვენ მიგვაჩნია, თქვა მან, რომ დამასკოს ახლანდელი მთავრობა არ წარმოადგენს სირიას, რომელთანაც ჩვენ დავდეთ შეთანხმება სამმხრივი ფედერაციის შესახებ. ეს შეთანხმება დადებული იყო არა მთავრობათა, არამედ ეროვნულ რევოლუციურ ძალთა შორის.

ნასერი შეჩერდა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკისა და ერაყის რესპუბლიკის ურთიერთობაზე და თქვა, რომ ერაყის პრეზიდენტი აბდელ სალამ არეფი ვიზიტად უნდა ჩამოსულიყო კაიროში, მაგრამ ერაყის რევოლუციური საბჭოს ერთგულმა საბჭომ უარი თქვა სანქცია მიეცა ამ ვიზიტისათვის იქამდე, სანამ ეგვიპტის დელეგაცია პირველი არ ჩავა ერაყში. მაგრამ როგორც ერაყის რევოლუციური საბჭოს ერთგულ საბჭო ყოველთვის გადადებდა ხოლმე ამ მოგზაურობას.

„ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, რომ ერთობა გარდაუვალია“, — განაგრძო ნასერმა — „მაგრამ ამ მხრივაც ჩვენ მოგვიხდა გადაგვეშინჯა ზოგიერთი დებულება. თავდაპირველად ჩვენ ყველა ნაციონალისტური პარტიის თანამშრომლობის მოახრენი ვიყავით. მაგრამ ეს კონცეფცია მცდარი აღმოჩნდა. ახლა ჩვენ ახალი პოზიციებიდან უნდა განვეკრიტოთ მომავალი. ჩვენ არ შეგვიძლია გავაერთიანოთ არაბული ქვეყნები, თუ ყოველ მათგანს ეყოლება თავისი პარტია... ამიტომ საჭიროა დავიწყოთ არაბთა ნაციონალისტური მოძრაობების გაერთიანება ყველა არაბულ ქვეყანაში.

შემდეგ ნასერმა ილაპარაკა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის საშინაო მდგომარეობაზე და ხაზგასმით აღნიშნა, რომ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ინდუსტრიალიზაციის ახლანდელი პოლიტიკა მიზნად ისახავს არა მარტო ეგვიპტელი ხალხის კეთილდღეობის, არამედ მთლიანად ყველა არაბის კეთილდღეობის გაუჯობესებას. მან აღნიშნა წარმატებები, რომლებსაც 11 წლის განმავლობაში მიაღწიეს. ამ დროის მანძილზე, თქვა პრეზიდენტმა, ჩვენ 700 ახალი სამრეწველო საწარმო ავაშენეთ.

ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢ ᲜᲐᲡᲔᲠᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ

ᲯᲐᲕᲐᲜᲐ, 23 ივლისი. საკდესის კორესპონდენტი ნ. ᲩᲘᲓᲘᲠᲘ გადმოგცემს:

ჯავანის საზოგადოებრიობამ ფართოდ აღნიშნა ერნესტ ჰემინგუეის დაბადების 64 წლისთავი. შესანიშნავი ამერიკელი მწერალი, რომელმაც კუბაში 20 წელზე მეტი იცხოვრა, კუბელი ხალხის დიდი მეგობარი იყო. კუბელები იცნობენ და უყვართ მისი წიგნები. ისინი პატივს სცემენ გამოჩენილი ჰუმანისტი-მწერლის ხსოვნას.

ჯავანის ახლოს, დაბა სან-ფრანსისკო-დე-პაულაში არის სახლი, სადაც ცხოვრობდა და მუშაობდა ჰემინგუეი, სადაც მან შექმნა მოთხრობა „მოხუცი და ზღვა“, რომელმაც მსოფლიო სახელი მოიხვეჭა. ახლა ეს სახლი მუზეუმია. მწერლის დაბადების დღეს, 21 ივლისს, აქ, მზრუნველობით მოვლილ ბაღში, შეიკრიბა ჯავანის საზოგადოებრიობის ბევრი წარმომადგენელი.

ცნობილმა კუბელმა მწერალმა ალეხო კარპენტიერმა, რომელიც ახლოს იცნობდა ერნესტ ჰემინგუეის, დამსწრეებს უამბო მის შემოქმედებით გზაზე და გაუზიარა მოგონებანი მწერალთან შეხვედრების შესახებ.

იმავე დღეს ჯავანის მეორე გარეუბანში კობიმარში, მწერლის ბიუსტი გვირგვინებით შეამკეს.

რაც შეეხება ახუნდოვის სახელობის თეატრის სამალეტო კოლექტივის შემოქმედებითს პრინციპებს, ახლა, მთელ მის საგასტროლო რეპერტუარს რომ ათვალიერებ, ხედავ, რაოლენ დიდი და მნიშვნელოვანია მის მიერ გამოვლილი მანძილი. „ქალწულის კოშკიდან“ და „შვიდი მზეთუნახავიდან“ „ქუხილის ბილიკით“ „სიყვარულის ლეგენდამდე“ — ეი გზა მტკიცე ტრადიციების ჭეშმარიტად შემოქმედებითი განვითარებისა, გზა საინტერესო ძიებისა და დამჯერებელი მიღწევებისა.

ᲚᲘᲚᲘ ᲒᲕᲐᲠᲐᲛᲐᲫᲔ,
საქართველოს სსრ სახალხო არტისტი.

* * *

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲘ: (ზემოთ) სცენა ბალეტ „ქუხილის ბილიკიდან“. ლენი — მ. მამედოვი (მარცხნივ), სარი — ლ. გეჭილოვა. ქვემოთ — სცენა ბალეტ „შვიდ მზეთუნახავიდან“.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢ ᲜᲐᲡᲔᲠᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ

კაირო, 23 ივლისი. გუშინ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა გამალ აბდელ ნასერმა ვრცელი სიტყვა წარმოთქვა კაიროში 100 ათასიან მიტინგზე, რომელიც ეგვიპტის 1952 წლის რევოლუციის II წლისთავს მიეძღვნა. ეს სიტყვა, რომელიც დაახლოებით სამ საათს გაგრძელდა, ძირითადად მიეძღვნა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის დამოკიდებულებას ბაასის პარტიის ხელმძღვანელობასთან და იმ პრობლემებს, რომლებიც დაკავშირებულია სამი არაბული სახელმწიფოს — ეგვიპტის, სირიისა და ერაყის ფედერაციის შექმნასთან. ნასერმა განაცხადა, რომ იგი „მიმართავს მთელ არაბ ერს, ვინაიდან სერიეს ახლანდელი კრიზისი არანაკლებ სერიოზული ხასიათისაა, ვიდრე გათშვის ტრაგედია“ 1961 წლის შემოდგომაზე. მან თქვა, რომ ეგვიპტისა და სირიის კავშირის გამოცხადების პირველი დღიდანვე ბაასის პარტიის ლიდერები ესწრაფოდნენ გათიშვის და ცდილობდნენ ძალაუფლების ხელში ჩაგდებას.

ნასერმა ილაპარაკა გათიშვის ისტორიაზე, ხოლო შემდეგ გადავიდა მიმდინარე წლის ამბებზე, სირიაში 8 მარტს სახელმწიფო გადატრიალებასა და სამხრეთ მოლაპარაკებაზე, რომელიც ეგვიპტის, სირიისა და ერაყის წარმომადგენელთა შორის წარმოება.

არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკას, თქვა ნასერმა, თავის თავი აღარ მიაჩნია დამასკოს ახლანდელი რეჟიმის მოკავშირედ რაიმე საერთო მიზნებში. ჩვენ მიგვაჩნია, თქვა მან, რომ დამასკოს ახლანდელი მთავრობა არ წარმოადგენს სირიას, რომელთანაც ჩვენ დავდეთ შეთანხმება სამმხრივი ფედერაციის შესახებ. ეს შეთანხმება დადებული იყო არა მთავრობათა, არამედ ეროვნულ რევოლუციურ ძალთა შორის.

ნასერი შეჩერდა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკისა და ერაყის რესპუბლიკის ურთიერთობაზე და თქვა, რომ ერაყის პრეზიდენტი აბდელ სალამ არეფი ვიზიტად უნდა ჩამოსულიყო კაიროში, მაგრამ ერაყის რევოლუციური საბჭოს ერთგულმა საბჭომ უარი თქვა სანქცია მიეცა ამ ვიზიტისათვის იქამდე, სანამ ეგვიპტის დელეგაცია პირველი არ ჩავა ერაყში. მაგრამ როგორც ერაყის რევოლუციური საბჭოს ერთგული საბჭო ყოველთვის გადადებდა ხოლმე ამ მოგზაურობას.

„ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, რომ ერთობა გარდაუვალია“, — განაგრძო ნასერმა — „მაგრამ ამ მხრივაც ჩვენ მოგვიხდა გადაგვეშინჯა ზოგიერთი დებულება. თავდაპირველად ჩვენ ყველა ნაციონალისტური პარტიის თანამშრომლობის მოახრენი ვიყავით. მაგრამ ეს კონცეფცია მცდარი აღმოჩნდა. ახლა ჩვენ ახალი პოზიციებიდან უნდა განვეკრიტოთ მომავალი. ჩვენ არ შეგვიძლია გავაერთიანოთ არაბული ქვეყნები, თუ ყოველ მათგანს ეყოლება თავისი პარტია... ამიტომ საჭიროა დავიწყოთ არაბთა ნაციონალისტური მოძრაობების გაერთიანება ყველა არაბულ ქვეყანაში.

შემდეგ ნასერმა ილაპარაკა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის საშინაო მდგომარეობაზე და ხაზგასმით აღნიშნა, რომ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ინდუსტრიალიზაციის ახლანდელი პოლიტიკა მიზნად ისახავს არა მარტო ეგვიპტელი ხალხის კეთილდღეობის, არამედ მთლიანად ყველა არაბის კეთილდღეობის გაუჯობესებას. მან აღნიშნა წარმატებები, რომლებსაც 11 წლის განმავლობაში მიაღწიეს. ამ დროის მანძილზე, თქვა პრეზიდენტმა, ჩვენ 700 ახალი სამრეწველო საწარმო ავაშენეთ.

ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢ ᲜᲐᲡᲔᲠᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ

ᲯᲐᲕᲐᲜᲐ, 23 ივლისი. საკდესის კორესპონდენტი Ნ. ᲩᲘᲓᲘᲠᲘ გადმოგცემს:

ჯავანის საზოგადოებრიობამ ფართოდ აღნიშნა ერნესტ ჰემინგუეის დაბადების 64 წლისთავი. შესანიშნავი ამერიკელი მწერალი, რომელმაც კუბაში 20 წელზე მეტი იცხოვრა, კუბელი ხალხის დიდი მეგობარი იყო. კუბელები იცნობენ და უყვართ მისი წიგნები. ისინი პატივს სცემენ გამოჩენილი ჰუმანისტი-მწერლის ხსოვნას.

ჯავანის ახლოს, დაბა სან-ფრანსისკო-დე-პაულაში არის სახლი, სადაც ცხოვრობდა და მუშაობდა ჰემინგუეი, სადაც მან შექმნა მოთხრობა „მოხუცი და ზღვა“, რომელმაც მსოფლიო სახელი მოიხვეჭა. ახლა ეს სახლი მუზეუმია. მწერლის დაბადების დღეს, 21 ივლისს, აქ, მზრუნველობით მოვლილ ბაღში, შეიკრიბა ჯავანის საზოგადოებრიობის ბევრი წარმომადგენელი.

ცნობილმა კუბელმა მწერალმა ალეხო კარპენტიერმა, რომელიც ახლოს იცნობდა ერნესტ ჰემინგუეის, დამსწრეებს უამბო მის შემოქმედებით გზაზე და გაუზიარა მოგონებანი მწერალთან შეხვედრების შესახებ.

იმავე დღეს ჯავანის მეორე გარეუბანში კობიმარში, მწერლის ბიუსტი გვირგვინებით შეამკეს.

ᲒᲐᲙᲔᲗᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐᲨᲘ

პარიზი, 24 ივლისი. (საკდესი). პორტუგალიელი კოლონიზატორები თვითმფრინავებიდან ყრიან ნაპალმის ბომბებს, რომლებიც გაკეთებულია ამერიკის შეერთებულ შტატებში. ამ ბომბებს იყენებენ ანგოლის ქალების, ბავშვებისა და მოხუცების წინააღმდეგ, ნათქვამია „ანგოლის ეროვნული განთავისუფლების ფრონტის დღეს გამოქვეყნებულ კომუნიკეში.

ᲛᲝᲜᲝᲞᲝᲚᲘᲔᲑᲘ — ᲡᲐᲚᲘ ᲐᲖᲠᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲚᲛᲓᲔᲒ

ვაშინგტონი, 23 ივლისი. საკდესის კორესპონდენტი Მ. ᲗᲐᲚᲐᲗᲔᲚᲘᲐᲜᲘ იტყობინება:

ამერიკის საზოგადოებრიობა დიდი ყურადღებით ადევნებს თვალს მოსკოვში მიმდინარე სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის წარმომადგენელთა შორის აზრთა გაზიარებას ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის საკითხებზე. „რამდენადაც შეიძლება წარმოვიდგინოთ, — წერს დედაქალაქის გაზეთი „სტარი“, — კომუნისტური სამყაროო და ჩვენი სამყაროო რეალურად დგანან დაძაბულობის შენელების გზაზე“.

ვაშინგტონში დიდი ყურადღებითა და ინტერესით მოეკიდნენ კონკრეტულ წინადადებებს ევროპის უმაშრომებისა და საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის ნორმალიზაციის უზრუნველყოფის შესაძლებელი გზების შესახებ. ეს წინადადებანი გამოთქვა საბჭოთა მთავრობის მეთაურმა ნ. ს. ხრუშჩოვმა უნგრეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის მიტინგზე მოსკოვში. ამ წინადადებებს, როგორც იმწუთშივე განუცხადეს კორესპონდენტებს ამერიკის ოფიციალურმა წარმომადგენლებმა თეთრ სახლსა და სახელმწიფო დეპარტამენტში, გულდასმით სწავლობს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა.

ამერიკის გაზეთებისა და დეპეშათა საგაზეთნიკების იმედიანი ცნობების ფონზე მოსკოვში მიმდინარე აზრთა გაზიარების შესახებ განსაკუთრებით თვალნათლივ ჩანს, თუ როგორ ემზადებიან ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო მოსაპოლიათა აგენტები მოსალოდნელი შეთანხმების წინააღმდეგ ბრძოლისათვის. ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო მონოპოლიები ილაშქრებენ განიარაღების წინააღმდეგ, ისინი ცივი ომის განგრძობის მომხრენი არიან.

გასულ შაბათსა და კვირას გვიანობამდე ენთო შუქი პენტაგონის შენობის ფანჯრებში. „იქ მიმდინარეობდა ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ შეთანხმების შესაძლებელი შედეგების განხილვა, — განაცხადა დღეს ღილით გაზეთმა „ვაშინგტონ პოსტმა“.

პენტაგონში წარგზავნილი თავის კორესპონდენტის სტატიაში ეს გაზეთი აირდაპირ აღნიშნავს, რომ, ამერიკის სამხედრო ზედაფენის აზრით, „შემდგომი ატომური აფეთქება ატმოსფეროში სასარგებლოა“ ამერიკის შეერთებული შტატებისათვის. უკანასკნელ დღეებში პრესა სულ უფრო ხშირად იუწყება, რომ ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის ყველაზე აშკარა მოწინააღმდეგენი არიან ამერიკის სამხედრო-საპაერო ძალების შტაბის უფროსი გენერალი კერტის ლიმეი და სამხედრო-საზღვაო ფლოტის შტაბის უფროსი ადმირალი ჭორჭ ანდერსონი, რომლებიც ამასწინათ გამოვიდნენ სენატორთა ჯგუფთან საიდუმლო შეხვედრაზე და პირდაპირ მოუწოდეს ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესს „ეროვნული უშიშროების თვალსაზრისით“ ჩაფუშონ შეთანხმების რატიფიკაცია ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ.

ᲞᲐᲠᲘᲖᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲚᲛᲓᲔᲒ ᲐᲖᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲕᲐ

Ჯ. ᲜᲔᲠᲣ:

„ᲩᲔᲛ ᲡᲐᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝ ᲘᲛᲔᲠᲘᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲡᲐᲗᲕᲘᲡ“

დელი, 24 ივლისი. (საკდესი). ჰაიდერაბადის (ანდჰრა პრადეშის შტატი) მიტინგზე ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ჯ. ნერუმ კმაყოფილება გამოთქვა პროგრესის გამო, რომელიც მიღწეულია სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის წარმომადგენელთა შორის აზრთა გაზიარების დროს მოსკოვში ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის საკითხზე.

„ინდოეთი, — განაცხადა ნერუმ, — იბრძვის მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის და მშვიდობიანი მოლაპარაკებისათვის ყველა სადავო პრობლემის მოწესრიგების მიზნით“. როგორც ინდოეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება, ნერუმ იმედი გამოთქვა, რომ მოსკოვის აზრთა გაზიარების მონაწილენი მიაღწევენ ჯეროვან ურთიერთგაგებას ამ საკითხში და ბოლოს მოუღებენ ატომური იარაღის გამოცდას. „ეს სასარგებლო იქნება მშვიდობის საქმისათვის“, — თქვა ნერუმ.

ᲛᲝᲗᲐᲕᲠᲝᲒᲐᲡ ᲡᲘᲚᲐ ᲒᲐᲐᲬᲜᲔᲡ

პარიზი, 24 ივლისი. (საკდესი). 203 ხმით 36 ხმის წინააღმდეგ საფრანგეთის სენატმა გაცხარებული კამათის შემდეგ დღეს უარყო მთავრობის კანონპროექტი, რომელიც „რეგლამენტს უქვემდებარებს“ სახელმწიფო საწარმოებისა და დაწესებულების მუშაკთა გაფიცვის უფლებას.

ახლა კანონპროექტი ეროვნულ კრებაში დაბრუნდება მეორე წაკითხვისათვის. როგორც ცნობილია, პირველი წაკითხვით ეროვნულმა კრებამ დაადასტურა იგი.

სენატში კენჭისყრის შედეგი წინასწარ განსაზღვრა რესპუბლიკური და დემოკრატიული ძალების წარმომადგენელთა მტკიცე წინააღმდეგობამ, რომლებმაც სასტიკად გააკრიტიკეს დე გოლ-პომპიდუს მთავრობა იმისათვის, რომ ცდილობდა შეეკვეცა საფრანგეთის მშრომელთა პროფკავშირული და დემოკრატიული უფლებები და თავისუფლებანი.

ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲤᲘ ᲒᲕᲐᲢᲧᲝᲑᲘᲜᲔᲑᲡ

● **XVI საერთაშორისო კინოფესტივალზე ლოკარნოში (შვეიცარია) უჩვენეს საბჭოთა მხატვრული ფილმი „მათ წინაშე ქედ იხრის ზეცა“. მაყურებლები ინტერესით გაეცნენ საბჭოთა ფილმს, ესაუბრნენ ფილმის რეჟისორს ტ. ლიოზნოვას და მსახიობ ნ. რიბნიკოვს. საბჭოთა კინოდელეგაციამ გამართა ამ ფილმისა და საბჭოთა კინემატოგრაფიისადმი მიძღვნილი პრეს-კონფერენცია.**

● **იტალიის ქალაქ ტორინოში გაიმართა ამ ერთ-ერთი უდიდესი ინდუსტრიული ცენტრის ქარხნებისა და ფაბრიკების მუშათა წარმომადგენლების კონფერენცია. კონფერენციის მონაწილეებმა — 50 სამრეწველო საწარმოს კომუნისტმა, სოციალისტმა და უპარტიო მუშებმა, მოიწონეს რეზოლუცია, რომელშიც ხაზს უსვამენ, რომ საჭიროა უფრო განამტკიცონ მუშათა კლასისა და ყველა მშრომელის ერთობა, რომლებიც თავიანთი უფლებების დასაცავად იბრძვიან მონოპოლიების წინააღმდეგ.**

● **კიდევ ერთი ბერძენი პოლიტიკური პატიმრის — სიგანოსის სიცოცხლე საფრთხეშია. იგი მძიმე ავადმყოფია. მიუხედავად ამისა, ხელისუფლებმა უარყვეს მისი თხოვნა განთავისუფლების შესახებ. გაზეთმა „ავგიმ“ მოუწოდა მთავრობას დაუყოვნებლივ გაათავისუფლონ სიგანოსი და გადაარჩინონ სიკვდილს. გაზეთი მოითხოვს გაათავისუფლონ ყველა პოლიტიკური პატიმარი, რომელთა ჯანმრთელობა შეარყია მრავალი წლის პატიმრობამ.**

● **კოლონეთში სიცხე დგას. თერმომეტრი განუწყვეტლივ უჩვენებს 30-35 გრადუსს ცელსიუსით. პაპანაქებამ და გვალვამ მნიშვნელოვნად დასწია წყლის დონე მდინარეებში. ვისლაში ბევრ ადგილას ფონით შეიძლება გასვლა. (საკდესი).**

საერთაშორისო დეკენური ცნობიერი ვითარება
ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ

ᲡᲠᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ ᲕᲝᲚᲒᲝᲒᲠᲐᲓᲨᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲒᲣᲜᲓᲘ — ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲐᲓᲒᲘᲚᲖᲔ

ვოლგოგრადი, 24 ივლისი. (ტელეფონით სპეც. კორ.). მოსწავლეთა სპარტაკიადის ალამი დაშვებულია.

აქ ფრენბურთში საერთო გამარჯვება და სპარტაკიადის ჩემპიონობა ხვდა ჩვენს რესპუბლიკას.

ცუდი მაჩვენებლებით როდი დაამთავრეს შეჯიბრება საქართველოს კალათბურთელებმა. გოგონათა და ჭაბუკთა გუნდების მაჩვენებლებით ისინი მესამე საპრიზო ადგილის მფლობელი გახდნენ.

იმის გამო, რომ ჩვენი ფეხბურთელები ფინალში ვერ მოხვდნენ, საქართველოს გუნდმა ცოტა როდი დაკარგა. არასახარბიელო შედეგი აღმოაჩნდათ აგრეთვე მაგიდის ჩოგბურთელებს. ამის გამო აშკარად ხელიდან გაშვებულ იქნა საერთო მესამე საპრიზო ადგილი.

საქართველოს ფეხბურთელებმა უკანასკნელ მატჩში დაამარცხეს ლენინგრადის გუნდი 2:1 და მეხუთე ადგილი დაიკავეს. მაგიდის ჩოგბურთში საქართველოს, უკრაინისა და აზერბაიჯანის გუნდებს ქულათა თანაბარი რაოდენობა აღმოაჩნდათ. მსაჯთა კოლეგიამ ჩვენს გუნდს მეხუთე ადგილი მიანიჭა.

ბრძოლა სპორტულ ტანვარჯიშში თავიდანვე მოსკოვის, რსფსრ და საქართველოს გუნდებს შორის მიმდინარეობდა და საპრიზო ადგილებიც ასეთივე თანმიმდევრობით განაწილდა. უკანასკნელ მატჩში საქართველოს მოჭადრაკეებმა დაამარცხეს ლატვიის გუნდი 4,5:3,5 და მეხუთე ადგილით დაკმაყოფილდნენ. სპარტაკიადის ყველაზე ძესპრიგ სახეობაში — მძლეოსნობაში გოგონები მეცხრე ადგილზე გამოვიდნენ, ჭაბუკები — მეოთხეზე, საერთო ადგილი კი მეექვსე იყო.

ცურვაში ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენებმა მეექვსე ადგილი დაიკავეს, ველოსპორტში მეხუთე-მეექვსე ადგილები გაიყვეს, წყალში ხტომაში — მეექვსე ადგილი მოიპოვეს.

საერთო მაჩვენებლებით მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის ჩემპიონი გახდა უკრაინის გუნდი (155 ქულა). მეორე ადგილზე გამოვიდა მოსკოვის გუნდი (147,5 ქულა), მესამეზე — რსფსრ გუნდი (135 ქულა), მეოთხეზე — საქართველოს გუნდი (134,5 ქულა), მეხუთეზე — ლენინგრადის სპორტსმენთა კოლექტივი (122 ქულა).

* * *

გუშინ მოსწავლე სპორტსმენებისაგან ვოლგოგრადიდან ესტაფეტა მიიღო სსრ კავშირის ხალხთა მესამე სპარტაკიადამ. მოსკოვში დაიწყო შეჯიბრება ტყვიით სროლაში. გამოვლინდა პირველი ჩემპიონი 300 მეტრზე საბრძოლო შაშხანის სროლაში. 552 ქულით პირველი ადგილი დაიკავა უკრაინელმა ა. პარკინმა.

ᲬᲐᲠᲣᲛᲐᲢᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲛᲐᲓᲠᲘᲓᲨᲘ

ᲐᲠᲛᲘᲘᲡ ცენტრალური სასპორტო კლუბის კალათბურთელთა მეტოქეებს ევროპის ჩემპიონთა თასის ფინალის პირველ მატჩში — მადრიდის „რეალის“ სპორტსმენებს კარგად იცნობენ ჩვენი წამყვანი გუნდები. სხვადასხვა დროს მადრიდელებს შეხვედრიან თბილისის დინამოელები და რიგელი არმიელები. ეს შეხვედრები მიმდინარეობდა ნეიტრალურ მოედნებზე, მადრიდში გამოსვლა კი, სადაც ესპანელებს არ წაუგიათ არც ერთი ოფიციალური მატჩი, მოუწია მხოლოდ არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის გუნდს. „რეალს“ არ შეულახავს თავისი რეპუტაცია და გაიმარჯვა მოსკოველებთან ანგარიშით 86:69 (35:26).

„სიესტა ალეგრეს“ მოედანი, სადაც მიმდინარეობდა მატჩი, ცემენტის იატაკიანი და ჩვეულებრივ მოედანზე რამდენად

ყირგიე, საჯ ბსურს ისწავლო!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტი

ვ. ი. ლენინის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი პოლიტექნიკური ინსტიტუტი

აცხადებს ასპირანტურაში მიღებას 1963 წელს შემდეგ სპეციალობებზე:

წარმოებისაგან მოწყვეტით: მანქანათმცოდნეობა და მანქანათა ნაწილები, მანქანათმშენებლობის ტექნოლოგია, ავტომობილები და ტრაქტორები, მადნეულის საბადოების გეოლოგია და ძიება, გამოთვლითი ტექნიკა, ჰიდრავლიკა და საინჟინრო ჰიდროლოგია, ჰიდროტექნიკური ნაგებობანი, სამთო ელექტრომექანიკა, ლითონმცოდნეობა და თერმული დამუშავება, შავი ლითონების მეტალურგია, არაორგანულ ნივთიერებათა ტექნოლოგია, ელექტროქიმიური წარმოებათა ტექნოლოგია, ძირითადი ორგანული სინთეზის ტექნოლოგია, პოლიმერული მასალების გადამუშავების ტექნოლოგია, გამოყენებითი გეომეტრია და საინჟინრო გრაფიკა, რკინიგზის ტრანსპორტის ხელოვნური ნაგებობანი, რკინიგზის ტრანსპორტის ელექტროფიკაცია და ელექტრომომარაგება, საავტომობილო გზები, სამშენებლო კონსტრუქციები, არქიტექტურა, რკინიგზების დაპროექტება და მშენებლობა.

წარმოებისაგან მოუწყვეტლივ: მექანიზმებისა და მანქანების თეორია, მასალათა გამძლეობა და სამშენებლო მექანიკა, ფიზიკური ქიმია, მანქანათმცოდნეობა და მანქანათა ნაწილები, ავტომობილები და ტრაქტორები, გამოთვლითი ტექნიკა, ავტომატური მართვა და რეგულირება, ელექტროტექნიკის თეორიული საფუძვლები, ელექტრული ქსელები და სისტემები, ჰიდრავლიკა და საინჟინრო ჰიდროლოგია, ჰიდროტექნიკური ნაგებობანი, სამარაგო-დერო საქმე, სამთო ელექტრომექანიკა, ნავთობის, აირისა და აირკონდენსატების საბადოების დამუშავება და ექსპლოატაცია, ლითონმცოდნეობა და თერმული დამუშავება, არაორგანულ ნივთიერებათა ტექნოლოგია, ელექტროქიმიური წარმოებათა ტექ-

ნოლოგია, ძირითადი ორგანული სინთეზის ტექნოლოგია, სილიკატების ტექნოლოგია, პურსაცხობი, მაკარონისა და საყინულეტრო წარმოების ტექნოლოგია, პოლიმერული მასალების გადამუშავების ტექნოლოგია, რკინიგზის ტრანსპორტის. ხელოვნური ნაგებობანი, რკინიგზების დაპროექტება და მშენებლობა, რკინიგზის ტრანსპორტის ელექტროფიკაცია და ელექტრომომარაგება, საავტომობილო გზები, სამშენებლო კონსტრუქციები, ფუძეები, საძირკლები და მიწისქვეშა ნაგებობანი, არქიტექტურა.

ასპირანტურაში წარმოებისაგან მოწყვეტით მიიღებიან მოქალაქენი 35 წლის ასაკამდე, ხოლო წარმოებისაგან მოუწყვეტლივ 45 წლამდე, რომლებსაც **დამთავრებული** აქვთ უმაღლესი სასწავლებელი, გამომჟღავნეს **სამეცნიერო-კვლევითი** მუშაობის უნარი და უმაღლეს სასწავლებლებში მიღებული სპეციალობით აქვთ მუშაობის სტაჟი არანაკლებ ორი წლისა.

დაუსწრებელი და საღამოს უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულებს, რომელთაც აქვთ საწარმოო გამოცდილება არსეული სამეცნიერო სპეციალობის მიხედვით არანაკლებ ორი წლისა, **უფლება აქვთ დაშვებულ იქნენ ასპირანტურაში მისაღებ გამოცდებზე უშუალოდ უმაღლესი სასწავლებლების დამთავრების შემდეგ.**

ასპირანტურაში შემსვლელები აბარებენ საკონკურსო გამოცდებს: **სპეციალობაში, სკკპ ისტორიაში** და ერთ-ერთ **უცხო ენაში.** ის პირები, რომელებსაც ადრე ჩაბარებული აქვთ საკანდიდატო გამოცდები, **თავისუფლდებიან** გამოცდებისაგან, მაგრამ წარმოადგენენ რეფერატს.

განცხადება ასპირანტურაში მიღების შესახებ შემოტანილ უნდა იქნას რექტორის სახელზე შემდეგი საბუთების დართვით, თითო ეგზემპლარად: **კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების დიპლომი,** შემოწმებული ნოტარიუსის მიერ, **დახასიათება** უკანასკნელი სამუშაო ადგილიდან, დაბეჭდილი და ხელნაწერი **შრომების სია** ან **რეფერატი, ამონაწერი შრომის წიგნაკიდან.**

განცხადების მიღება წარმოებს 5 ოქტომბრამდე, მისაღები გამოცდები იწარმოებს 16-31 ოქტომბრამდე.

ცნობებისათვის მიმართეთ: **ქ. თბილისი, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ასპირანტურა.**

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორატი.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის ბოტანიკური ბაღი

აცხადებს კონკურსს შემდეგ ვაკანტურ თანამდებობებზე:

1. მცენარეთა ინტროდუქციის განყოფილების გამგე — 1. 2. ბოტანიკის განყოფილების გამგე — 1. 3. მცენარეთა ფიზიოლოგიისა და ბიოქიმიის ლაბორატორიის გამგე — 1. 4. **სუბტროპიკულ მცენარეთა სელექციის სექტორის** გამგე — უფროსი მეცნიერი თანამშრომელი — 1. 5. **უფროსი მეცნიერი თანამშრომელი** მცენარეთა ინტროდუქციის დარგში — 2. 6. **უმცროსი მეცნიერი თანამშრომლის** თანამდებობაზე:

მცენარეთა ინტროდუქცია-აკლიმატიზაციის დარგში — 1. მეყვავილეობის დარგში — 1. სუბტროპიკულ მცენარეთა სელექციის დარგში — 1. მცენარეთა ბიოქიმიის დარგში — 1. ბოტანიკის დარგში — 1.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა წერილობითი განცხადება უნდა შეიტანონ ბაღის დირექტორის სახელზე შემდეგი საბუთების დართვით: 1. **კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი,** 2. **ავტობიოგრაფია,** 3. **უმაღლესი განათლების დიპლომის ნოტარიულად შემოწმებული პირი,** 4. **სამეცნიერო ხარისხისა და წოდების დოკუმენტების ნოტარიულად შემოწმებული პირები,** 5. **დახასიათება,** 6. **სამეცნიერო შრომების სია.**

კონკურსის ვადაა ერთი თვე დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა.

მისამართი: ბათუმი, მახინჯაური, ბოტანიკური ბაღი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტის

ჩაის მრეწველობის ზუგდიდის ტექნიკუმი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1963-64 სასწავლო წლისათვის დღის განყოფილებაზე, ჩაის ტექნოლოგიის სპეციალობაზე (სულ მიღებული იქნება 50 მსმენელი, მათ შორის I კურსზე 25 და III კურსზე 25).

ტექნიკუმი ამზადებს **ტექნიკოს-ტექნოლოგებს** ჩაის ფაბრიკებისათვის.

ტექნიკუმში სწავლების ვადა იმ პირთათვის, რომლებიც შედიან 1-ლ კურსზე, **4 წელია,** ხოლო საშუალო სკოლადამთავრებულთათვის, რომლებიც შედიან სპეციალურ ჯგუფში, **2 წელი და 6 თვე.** ტექნიკუმში მიიღებიან ორივე სქესის მოქალაქენი 30 წლის ასაკამდე.

განცხადების მიღება იწარმოებს 31 ივლისამდე. განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები: 1. **განათლების მოწმობა** (დედანი), 2. **ავტობიოგრაფია,** 3. **ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ** (ფ. № 286), 4. სამი ცალი **ფოტოსურათი** (ზომით 3×4, გადაღებული უქუდოდ და შემოწმებული), 5. **ამონაწერი შრომის** (ან საკოლმეურნეო) **წიგნაკიდან** ორი და მეტი წლის სტაჟის მქონე პირთათვის, რომლებიც სწავლის დაწყებისას წარმოადგენენ ტექნიკუმში სტაჟის დამადასტურებელ საბუთის დედანს, 6. **ფორმა № 1** იმ პირებისაგან, რომლებიც სასწავლებლად მოვლინებული იქნებიან ფაბრიკის მიერ.

ტექნიკუმში გამოცხადებისას შემსვლელი წარმოადგენს **პირადად** დამბადებია მოწმობას ან პასპორტს, სამხედრო ბილეთს (თადარიგში მყოფი სამხედროვალდებული) ან მიწერის მოწმობას (წვევამდელი).

მისაღები გამოცდები იწარმოებს 1-დან 20 აგვისტომდე შემდეგ საგნებში: I კურსზე შემომსვლელთათვის: ა) **ქართულ ენასა და ლიტერატურაში** (წერა-შინაარსი), ბ) **მათემატიკაში** (წერა-ზეპირი), საშუალოდამთავრებულთათვის: ა) **ქართულ ენასა და ლიტერატურაში** (წერა-თხზულება), ბ) **მათემატიკაში** (წერა-ზეპირი).

მისაღები გამოცდების წარმატებით ჩაბარებისას ტექნიკუმში ჩარიცხვის **უპირატესი უფლებით სარგებლობენ:** 1) საბჭოთა არმიის რიგებიდან დემობილიზებულები 2) ორი და მეტი წლის პრაქტიკული მუშაობის სტაჟის მქონე პირები.

კონკურსის შედეგების შეჯამებისას მხედველობაში იქნება მიღებული როგორც მისაღები გამოცდების შედეგები, ისე განათლების დოკუმენტში ნაჩვენები ნიშნები.

ტექნიკუმში **ჩარიცხვა იწარმოებს** 21-დან 25 აგვისტომდე.

ჩარიცხულები **უზრუნველყოფილი** იქნებიან სტიპენდიით და საერთო საცხოვრებლით საერთო წესის მიხედვით.

ტექნიკუმის მისამართი: ქ. ზუგდიდი, ოქტომბრის ქ. № 1, ტელეფონი 4-82.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სტენოგრაფიისა და მანქანაზე წერის რესპუბლიკური სკოლა

აცხადებს მიღებას 1963-1964 სასწავლო წლისათვის.

სტენოგრაფიის განყოფილება ამზადებს **სტენოგრაფებს** და **უმაღლესი კვალიფიკაციის სტენოგრაფებს,** მანქანაზე წერის განყოფილება კი — მდივან-მემანქანეებს.

სკოლაში არის ორი სექტორი: **ქართული** და **რუსული.**

სკოლაში მიიღებიან **მდედრობითი** სქესის მოქალაქენი.

სტენოგრაფიის განყოფილებაზე მიიღებიან საშუალო განათლების მქონე მოქალაქენი; **მანქანაზე წერის** განყოფილებაზე — საშუალო და არასრული საშუალო განათლების მქონენი.

სკოლაში შემსვლელი პირები გამოცდებს აბარებენ **მშობლიურ ენაში** (წერა). **სტენოგრაფიის განყოფილებაზე** სწავლის ვადა ორნახევარი წელია, **მანქანაზე წერის** განყოფილებაზე კი ერთი წელი.

სკოლა სამეურნეო ანგარიშზეა. სკოლაში შემსვლელმა პირმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები: **განათლების მოწმობა, ცნობა ჯანმრთელობის შესახებ, ორი ფოტოსურათი, ავტობიოგრაფია, ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან.**

განცხადება მიიღება 27 აგვისტომდე ყოველდღე დილის 10 საათიდან საღამოს 5 საათამდე.

მისაღები გამოცდები 27-დან 30 აგვისტომდე.

სკოლის მისამართი: ქ. თბილისი, კამოს ქ. № 52.

საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი

აცხადებს მიღებას მწვრთნელთა სკოლის I კურსზე 1963-64 სასწავლო წელს.

მწვრთნელთა სკოლა წარმოადგენს სპეციალურ საშუალო სასწავლო დაწესებულებას სწავლის 3 წლის ვადით, რომელიც დამთავრების შემდეგ იძლევა საშუალო განათლებასა და მწვრთნელის კვალიფიკაციას სპორტის სახეების მიხედვით.

მწვრთნელთა სკოლაში მიიღებიან სსრ კავშირის მოქალაქენი 30 წლამდე, რომელთაც აქვთ განათლება არასრული საშუალო სკოლის ფარგლებში, კარგი ჯანმრთელობა, არანაკლებ II თანრიგისა სპორტის შერჩეულ სახეში და რომელიც წარმატებით ჩაბარებენ მისაღებ გამოცდებს.

განცხადება მწვრთნელთა სკოლაში მიღების შესახებ მიიღება 31 ივლისამდე (ჩათვლით).

განცხადება შემოტანილ უნდა იქნას ინსტიტუტის რექტორის სახელზე ამორჩეული სპეციალობის ჩვენებით.

განცხადებას თან უნდა დაერთოს: ა) **დოკუმენტი განათლების შესახებ** (დედანი), ბ) **ავტობიოგრაფია,** გ) **სამედიცინო მოწმობა** № 286 ფორმის მიხედვით, რომელიც გაცემული იქნება სკოლის მომსახურე ექიმის ან რაიონული პოლიკლინიკის საუბნო ექიმის მიერ, დ) **სამი ფოტოსურათი** (გადაღებული უქუდოდ, 3×4 ზომა), ე) ის პირნი, რომელთაც აქვთ მუშაობის სტაჟი არანაკლებ 2 წლისა, წარმოადგენენ **ამონაწერს შრომის წიგნაკიდან,** რომელიც შემოწმებული იქნება საწარმო-დაწესებულების ხელმძღვანელების მიერ, — კოლმეურნეები წარმოადგენენ **ამონაწერს საკოლმეურნეო წიგნაკიდან,** რომელიც დამოწმებული იქნება კოლმეურნეობის გამგეობის მიერ.

პირადად წარმოდგენილ უნდა იქნას დაბადების მოწმობა ან პასპორტი, სამხედრო ბილეთი ან მიწერის ცნობა (სამხედროვალდებულთათვის).

მისაღები გამოცდები — 1 აგვისტოდან 20 აგვისტომდე შემდეგ დისციპლინებში: ა) ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა და ზეპირი) — ქართულ სექტორზე შემომსვლელთათვის, ბ) რუსულ ენასა და ლიტერატურაში — წერა (კარნახი) და ზეპირი — რუსულ სექტორზე შემომსვლელთათვის, გ) სპორტული მომზადება — სპორტის ამორჩეული სახე, ტანვარჯიში, მძლეოსნობა, ცურვა.

გამოცდები ეწყობა სსრ კავშირის უმაღლესი და სპეციალური საშუალო განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული პროგრამის მიხედვით.

მწვრთნელთა სკოლაში ჩარიცხული პირნი უზრუნველყოფილ იქნებიან საერთო საცხოვრებლით, სტიპენდიითა და სპორტული ფორმით დადგენილი წესის თანახმად.

ცნობების გაცემა სწარმოებს მისაღები გამოცდების სამდივნოში; მისამართი: თბილისი, ჰავქავაძის პროსპექტი, 49.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მეურნეობათა პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს

სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის მარჯყოფის ტექნიკუმი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1963-64 სასწავლო წლისათვის.

ტექნიკუმში მიიღებიან 30 წლის ასაკამდე ორივე სქესის მოქალაქენი.

ტექნიკუმს აქვს **ორი პროფილი** — მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის. **ტექნიკუმი ამზადებს სოფლის მეურნეობის ტექნიკოს-მექანიკოსებს** და **ელექტროტექნიკოსებს.**

მექანიზაციის და ელექტროფიკაციის პროფილის **პირველ კურსზე** ჩაირიცხებიან არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი, აგრეთვე მე-8, მე-9 და მე-10 კლასდამთავრებულნი (სწავლის ხანგრძლივობა 4 წელი და 4 თვე), რომლებიც მისაღებ გამოცდებს ჩაბარებენ შემდეგ საგნებში: 1. **ქართულ ენაში** (წერა), 2. **მათემატიკაში** (წერა, ზეპირი);

მექანიზაციის პროფილის მესამე კურსზე მიიღებიან საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი (სწავლის ხანგრძლივობა 3 წელი), რომლებიც გამოცდებს ჩაბარებენ შემდეგ საგნებში: 1. **ქართულ ენასა და ლიტერატურაში** (წერა-თხზულება), 2. **მათემატიკაში** (წერა, ზეპირი).

კონკურსგარეშე ჩაირიცხებიან ის პირნი, რომლებსაც აქვთ პრაქტიკული მუშაობის სულ მცირე ორი წლის სტაჟი და სასწავლებლად გამოგზავნებიან კოლმეურნეობების ან საბჭოთა მეურნეობების მიერ, აგრეთვე სამხედრო სამსახურიდან და სამხედრო-საზღვაო ფლოტის რიგებიდან დემობილიზებულნი.

ყველა დანარჩენნი კი ჩაირიცხებიან **კონკურსის** მიხედვით. განცხადება შემოტანილ უნდა იქნას ტექნიკუმის დირექტორის სახელზე (პროფილის ჩვენებით), შემდეგი საბუთების დართვით: 1. **დოკუმენტი არასრული საშუალო ან საშუალო სკოლის დამთავრების, ან ცნობა საშუალო სკოლის 9, 10, 11 კლასში გადასვლის შესახებ.** 2. **ავტობიოგრაფია,** 3. **სამედიცინო ცნობა** (ფორმა № 286), 4. 3 ცალ ფოტოსურათი უქუდოდ (3×4 სმ ზომისა), 5. **ამონაწერი შრომის წიგნაკიდან,** დამოწმებული წარმოების ხელმძღვანელის მიერ, ხოლო კოლმეურნეთათვის ამონაწერი კოლმეურნეობის წიგნაკიდან. დამოწმებული კოლმეურნეობის გამგეობის მიერ (იმ პირთათვის, ვისაც აქვს საწარმოო მუშაობის სულ მცირე ორი წლის სტაჟი). კოლმეურნეობიდან, საბჭოთა მეურნეობიდან ან სხვა საწარმოების მიერ გამოგზავნილებმა დამტკიცებით უნდა წარმოადგინონ მივლინება გამომგზავნი ორგანიზაციისაგან ფორმა № 1-ის მიხედვით, 6. **პირადად წარმოდგენილ უნდა იქნას დაბადების მოწმობა ან პასპორტი, სამხედრო ბილეთი** (სამხედროვალდებულთათვის) **ან მიწერის მოწმობა** (წვევამდელთათვის).

განცხადებები მიიღება 31 ივლისამდე. **მისაღები გამოცდები** 1-დან 20 აგვისტომდე. **ჩარიცხვა** 21-დან 25 აგვისტომდე. **მეცადინეობა** იწყება 1 სექტემბერს.

ტექნიკუმში ჩარიცხულნი **უზრუნველყოფილ იქნებიან ბინით და მიეცემათ სტიპენდია საერთო წესით.**

ყოველგვარი ცნობების მიღება ტექნიკუმში ჩარიცხვის შესახებ შეიძლება **ყოველდღე 9-დან 17 საათამდე გარდა უქმე დღეებისა.**

მისამართი: **მარტყოფი. მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის ტექნიკუმი.**

ტექნიკუმის დირექცია.

ინდივიდუალურად ბინების მფლობელთა ყურადღებისათვის

სსრ კავშირის მშენებლობის საქართველოს რესპუბლიკური კანტორა იწყებს იმ **მუშა-მოსამსახურეთა, საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა საყურადღებოდ,** რომლებსაც ინდივიდუალური სახლის მშენებლობასა და კაპიტალურ შეკეთებაზე აქვთ მიღებული მშენებლობიდან სესხი, რომ **მათ მიერ მოცემული ვალდებულების თანახმად ეკალენდარულ დავალიანება დაეფარათ ყოველი კვარტალის პირველი თვის 1 რიცხვამდე.**

ზოგიერთმა ორგანიზაციამ და მსესხებლებმა პირველი და მეორე კვარტალის გადასახდელი თანხა დღემდე არ გადაიხადა და **დაუშვა ვადის დარღვევა,** რაც საფრთხეს უქმნის ბანკის საკასო გეგმის შესრულებას.

სსრ კავშირის მშენებლობის საქართველოს რესპუბლიკური კანტორა **აფრთხილებს ორგანიზაციების და დაწესებულებების ხელმძღვანელებს** და **ინდივიდუალურ მსესხებლებს დაუყოვნებლივ დაფარონ ვადაგადაცილებული დავალიანება და მეორე კვარტალის სავადო გადასახადი.**

სესხის არადროულად დაბრუნების შემთხვევაში **მშენებანკი იძულებული იქნება დააჩაცხოს სათანადო ზედმეტი პროცენტი.**

სსრ კავშირის მშენებლობის საქართველოს რესპუბლიკური კანტორა.

ყურადღება!

1963 წლის 30 ივლისს ქ. რიგაში უედგება სახელმწიფო 3-პროცენტიანი შინაგანი მოგებიანი სესხის მოგებათა 94-ე ტირაჟი.

სესხის თექვსმეტ თანრიგზე გათამაშდება 7.440.320 მანეთის 136.000 მოგება, მათ შორის:

5000-მანეთიანი 32 მოგება
2500-მანეთიანი 80 მოგება
1000-მანეთიანი 400 მოგება
500-მანეთიანი 1280 მოგება
100-მანეთიანი 11.200 მოგება
40-მანეთიანი 123.008 მოგება.

სესხზე ყოველწლიურად ეწყობა **მოგებათა 6 ძირითადი და ერთი დამატებითი ტირაჟი.**

მოსახლეობაში არსებული 3% სესხის ობლიგაციები **მონაწილეობას იღებენ მოგებათა ყველა ტირაჟში,** რომლებიც გაიმართება ამ სესხის ვადის განვლამდე.

სესხის ობლიგაციებს **ყიდის და თავისუფლად ყიდულობს** ყველა შემნახველი სალარო.

შეიძინეთ სახელმწიფო 3 პროცენტიანი შინაგანი მოგებიანი სესხის ობლიგაციები! მონაწილეობა მიიღეთ მოგებათა ტირაჟებში!

საქართველოს სსრ სახელმწიფო ფრთის შემნახველი სალაროებისა და სახაზინო-ბის სამმართველო.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს

ბაკურციხის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1963-64 სასწავლო წლისათვის.

ტექნიკუმში მიიღებიან ორივე სქესის მოქალაქენი 30 წლის ასაკამდე. ტექნიკუმი ამზადებს **უმცროს ბუხჰალტრებს, აგრონომებს,** მევენახეობა-მეხილეობის, მემინდვრეობის და მეფუტკრეობის სპეციალობით.

ტექნიკუმში სწავლის პერიოდში **მიიღებენ დამატებით ტრაქტორისტის, კომბაინერის** და **ავტომოყვარულის** პროფესიას.

არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი (7-8 კლასი) მიიღებიან **აგრონომიულ, მეფუტკრეობის, მეხილეობა-მევენახეობის** პროფილის I კურსზე, ხოლო საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი (10-11 კლასი) მიიღებიან **მეხილეობა-მევენახეობის** და **საბუხჰალტრო** პროფილის III კურსზე.

არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი გამოცდებს აბარებენ **არასრული** საშუალო სკოლის პროგრამით: **ქართულ ენაში** (წერა კარნახით), **მათემატიკაში** (წერა-ზეპირი), **საშუალო** სკოლის კურსდამთავრებულნი გამოცდებს აბარებენ **საშუალო** სკოლის პროგრამით: **ქართულ ენაში** (წერა-თხზულება), **მათემატიკაში** (წერა-ზეპირი).

კონკურსგარეშე პირველ რიგში ჩაირიცხებიან ის პირნი, რომლებიც წარმატებით ჩაბარებენ მისაღებ გამოცდებს და მივლინებული არიან სასწავლებლად შესაფერისი ორგანიზაციების ან საწარმოების მიერ.

კონკურსგარეშე ჩაირიცხებიან ის პირნი, რომლებიც ჩაბარებენ მისაღებ გამოცდებს და აქვთ **პრაქტიკული** მუშაობის სტაჟი არანაკლებ ორი წლისა, აგრეთვე საბჭოთა არმიიდან დემობილიზებულნი. **დანარჩენ ადგილებზე ჩარიცხვა იწარმოებს კონკურსის წესით.**

განცხადებები შეტანილ უნდა იქნას ტექნიკუმის დირექტორის სახელზე და თან დაერთოს: **განათლების მოწმობა** (დედანი ან მოწმობა 9-10-11 კლასში გადასვლის შესახებ); **ავტობიოგრაფია;** **სამედიცინო ცნობა** (ფორმა № 286); **სამი ფოტოსურათი** (გადაღებული უქუდოდ ზომა 3×4); **დახასიათება, ამონაწერი შრომის წიგნაკიდან** ან **კოლმეურნეობის წიგნაკიდან** ხელმძღვანელის მიერ შემოწმებული; **დაბადების მოწმობას** ან **პასპორტს სამხედრო წიგნაკს** ან **მიწერის მოწმობას** ადგენს პირადად.

განცხადებები მიიღება 31 ივლისამდე. **მისაღები გამოცდები** იწარმოებ 1-დან 20 აგვისტომდე. **ტექნიკუმს** აქვს საერთო საცხოვრებელი, სასადილო

ჩარიცხულთ მიეცემათ **სტიპენდია** საერთო წესით.

მისამართი: გურჯაანის რაიონი, ბაკურციხის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი.

დირექცია

საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს სასწავლო კომბინატი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას **მრეწველობის, მშენებლობის, სოფლის მეურნეობის** და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებისათვის **ბუხჰალტრების, მთავარი და უფროსი ბუხჰალტრების** მომზადების და კვალიფიკაციის ამაღლების ჯგუფებში როგორც წარმოებიდან მოუწყვეტლივ, ისე მოწყვეტით.

კომბინატი ამზადებს აგრეთვე აღრიცხვის მექანიზაციის მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლებას დაუსწრებელი სწავლების განყოფილებაზე.

განცხადებები მიიღება: **თბილისი** — ძერჟინსკის ქ. № 22, ჰავქავაძის პრ. № 17 — სასწავლო კომბინატი.

ბუხჰალტრო სკოლებში: **ბათუმი** — კალინინის შესახვევი 3, **სოხუმი** — ლაკობას 40, **მახარაძე** — ნინოშვილის 7, **ზუგდიდი** — რუსთაველის 212, **ქუთაისი** — გოგებაშვილის 17, **ზესტაფონი** — ტოლსტოის 102, **გორი** — ლენინის 96, **ლაგოდეხი** — სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი, **ფოთი** — რკინიგზის სკოლა, **ცხინვალი** — ლენინის 4.

საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი

აცხადებს მიღებას მწვრთნელთა სკოლის I კურსზე 1963-64 სასწავლო წელს.

მწვრთნელთა სკოლა წარმოადგენს სპეციალურ საშუალო სასწავლო დაწესებულებას სწავლის 3 წლის ვადით, რომელიც დამთავრების შემდეგ იძლევა საშუალო განათლებასა და მწვრთნელის კვალიფიკაციას სპორტის სახეების მიხედვით.

მწვრთნელთა სკოლაში მიიღებიან სსრ კავშირის მოქალაქენი 30 წლამდე, რომელთაც აქვთ განათლება არასრული საშუალო სკოლის ფარგლებში, კარგი ჯანმრთელობა, არანაკლებ II თანრიგისა სპორტის შერჩეულ სახეში და რომელიც წარმატებით ჩაბარებენ მისაღებ გამოცდებს.

განცხადება მწვრთნელთა სკოლაში მიღების შესახებ მიიღება 31 ივლისამდე (ჩათვლით).

განცხადება შემოტანილ უნდა იქნას ინსტიტუტის რექტორის სახელზე ამორჩეული სპეციალობის ჩვენებით.

განცხადებას თან უნდა დაერთოს: ა) **დოკუმენტი განათლების შესახებ** (დედანი), ბ) **ავტობიოგრაფია,** გ) **სამედიცინო მოწმობა** № 286 ფორმის მიხედვით, რომელიც გაცემული იქნება სკოლის მომსახურე ექიმის ან რაიონული პოლიკლინიკის საუბნო ექიმის მიერ, დ) **სამი ფოტოსურათი** (გადაღებული უქუდოდ, 3×4 ზომა), ე) ის პირნი, რომელთაც აქვთ მუშაობის სტაჟი არანაკლებ 2 წლისა, წარმოადგენენ **ამონაწერს შრომის წიგნაკიდან,** რომელიც შემოწმებული იქნება საწარმო-დაწესებულების ხელმძღვანელების მიერ, — **კოლმეურნეები** წარმოადგენენ **ამონაწერს საკოლმეურნეო წიგნაკიდან,** რომელიც დამოწმებული იქნება კოლმეურნეობის გამგეობის მიერ.

პირადად წარმოდგენილ უნდა იქნას დაბადების მოწმობა ან **პასპორტი,** სამხედრო ბილეთი ან მიწერის ცნობა (სამხედროვალდებულთათვის).

მისაღები გამოცდები — 1 აგვისტოდან 20 აგვისტომდე შემდეგ დისციპლინებში: ა) ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა და ზეპირი) — ქართულ სექტორზე შემომსვლელთათვის, ბ) რუსულ ენასა და ლიტერატურაში — წერა (კარნახი) და ზეპირი — რუსულ სექტორზე შემომსვლელთათვის, გ) სპორტული მომზადება — სპორტის ამორჩეული სახე, ტანვარჯიში, მძლეოსნობა, ცურვა.

გამოცდები ეწყობა სსრ კავშირის უმაღლესი და სპეციალური საშუალო განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული პროგრამის მიხედვით.

მწვრთნელთა სკოლაში ჩარიცხული პირნი **უზრუნველყოფილ** იქნებიან საერთო საცხოვრებლით, სტიპენდიითა და სპორტული ფორმით დადგენილი წესის თანახმად.

ცნობების გაცემა სწარმოებს მისაღები გამოცდების სამდივნოში; მისამართი: თბილისი, ჰავქავაძის პროსპექტი, 49.

გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი

1963-1964 წლების სეზონში
უშვებს **აბონემენტების** სერიას
ყოველ აბონემენტში შედის
მიმდინარე რეპერტუარის 7 ახალი და
3 განახლებული დადგმა

რ ე პ ერ ტ უ ა რ ი

ახალი დადგმები

ა. შტეინი — **ოკეანე;** ვ. როზოვი — **ვახშმის წინ;** ე. შვარცი — **ჩვეულებრივი სასწაული;** ი. შტოკი — **ლენინგრადის პროსპექტი;** დ. გრანინი — **მივდივარ ჰექა-ქუხილზე;** ო. ჩიჯავაძე — **თეთრი ჩრდილები;** კ. ვიტლინგერი — **ადამიანი ვარსკვლავიდან;** მ. ლერმონტოვი — **ჩვენი დროის გმირი;** ა. პარონიანი — **ძია ბალდასარი;** ლოპე დე ვეგა — **მოხერხებული შეცვარეული;** ი. ბაშეკი — **ყოჩაღი ჯარისკაცის შვეიკის თავგადასავალი.**

მიმდინარე რეპერტუარის სპექტაკლები

ხ. ალიოშინი — **ბალატა;** მ. მრეველიშვილი — **მგზნებარე მეოცნებე;** ა. ალენსკი — **მედოლე ქალი;** კ. ბუაჩიძე — **ეზოში ავი ძალლია;** ფ. დოსტოევსკი — **დანაშაული და სასჯელი;** ა. მილერი — **ხიდი ხიდიდან;** ი. ზლობინი და მ. სელეზნიოვი — **მშვენიერი დღე;** უ. ტენესოი — **ოთეოსი ჯოჯოხეთში ჩადის;** ა. პარნისი — **აფროდიტეს კუნძული.**

ყოველი აბონემენტის ფასი 10 წარმოდგენაზე 3-დან 10 მანეთამდე.

მიიღება შეკვეთები დაწესებულება-ორგანიზაციებისგან. აბონემენტები იყიდება თეატრის სალაროში დღის 12-დან 19 საათამდე და რეპერტუარების მეშვეობით.

ᲙᲘᲜᲝ

25 ივლისი

ოქტომბერი, ფილარმონიის ბაღი, **ისანი** (საზამთრო), **საქართველო** (წითელი დარბაზი), **საქართველო** (საზაფხულო), **ყაზბეგი** (პირველი დარბაზი), **კიროვის სახელობის პარკი, კოსმოსი, სპარტაკი, ჰავქავაძის სახელობის კულტურის სახლი** — კაენი XVIII, **ამირანი** (საზამთრო), **საქართველო** (მწვანე დარბაზი), **დიდუბე** (საზამთრო) — თუ ამხანაგი მოგიხმობს, **ამირანი** (საზაფხულო), **რუსთაველი, ისანი** (საზაფხულო), **26 კომისრის სახელობის** (მეორე დარბაზი), **პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლი** (საზამთრო), **გორკის სახელობის კულტურის სახლი** (საზაფხულო), **გაზაფხული, ნაკადული, მზიური** — ხელშეუხლებელი (I-II სერია), **თბილისი** — 49 დღე, **კომკავშირელი** — ფიცის გამტეხი, **26 კომისრის სახელობის** — (პირველი დარბაზი) — არამზადების ბანდა, **26 კომისრის სახელობის** (საზაფხულო), **კოლხიდა** (საზაფხულო) — სამი მუშაკეტერი (I-II სერია), **კოლხიდა** (საზამთრო) — სამი მუშაკეტერი (II სერია), **პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლი** (საზამთრო) — ცოლქმრობისათვის — სამიანი, **ოფიცერთა სახლი** — ფესტივალი, **მიძღვნილი** რსდმპ მე-2 ყრილობის მე-60 წლისთავისადმი, **გორკის სახელობის კულტურის სახლი** (საზამთრო) — კაცი მატარებლიდან, **თანამგზავრი** — ოქროს კბილი, **კოლმეურნე** — ციხე-სიმაგრე ბორბლებზე, **ყაზბეგი** (მეორე დარბაზი) — ოთხ